პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 213 (5314) | პარასკევი, 16 სექტემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

გმირული ბრძოლისა და გამარჯვებათა ფურცლები („პრავდის" მოწინავე)

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. (მე-2 გვ.)

პროფესიულ კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმი

პარტიული ცხოვრება: ბოლშევიკური ზრუნვა და ყურადღება თანამგრძნობებს; მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი ისტორიული დოკუმენტი; ყველა კომუნისტს და უპარტიოს შევასწავლოთ ეს სახელმძღვანელო (მე-3 გვ.)

ვ. ისტომინი — საერთაშორისო მიმოხილვა (ფელეტონი. მე-3 გვ.).

გ. თვალაძე — ლენინგრადიდან-მურმანსკამდე (ფელეტონი. მე-4 გვ.)

აკ. ვასაძე — რუსთაველის თეატრი მომავალ სეზონში (მე-4 გვ.)

უცხოეთში:

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში (1-ლი გვ.)
ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია (1-ლი გვ.)
ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.)
საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.)

გმირული ბრძოლისა და გამარჯვებათა ფურცლები

დღეს „პრავდა" აქვეყნებს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მეშვიდე თავს, რომელიც მოიცავს თავისი მნიშვნელობით გრანდიოზულ პერიოდს 1917 წლის აპრილიდან 1918 წლამდე, პერიოდს, როდესაც იქუხა დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, როდესაც მუშათა კლასმა, გლეხობასთან შეკავშირებულმა, დაამხო კაპიტალიზმის მიერ ჩაგვრა, როდესაც საძირკველი ჩაეყარა საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს.

ლენინის ცეცხლოვანმა ლოზუნგმა, რომელიც მან ფინეთის სადგურზე რუსეთში დაბრუნების დღეს გადმოისროლა, — „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!" — მგზნებარე გამოძახილი ჰპოვა ხალხის გულში. ლენინის აპრილის თეზისები, რომლებმაც პარტიასა და პროლეტარიატს მისცეს ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ნათელი რევოლუციური ხაზი, მილიონობით ადამიანებისათვის ბრძოლის დროშა გახდნენ. გარდაჰქმნა რა თავისი რიგები, დაუღალავ ბრძოლაში გამოწრთობილი რკინისებური პარტია ბოლშევიკებისა ჩადგა რევოლუციის მწყობრში, როგორც მძლავრი ძალა, რომელიც დღითიდღე იზრდებოდა. სიმპატიები მუშათა კლასისა და გლეხობისა, სიმპატიები ჯარისკაცთა მასებისა, რომლებიც მოქანცული იყვნენ სასტიკი, უსამართლო, დამპყრობითი, უცხოეთისა და რუსეთის კაპიტალის ინტერესებისათვის წარმოებული ომით, მთლიანად ბოლშევიკების მხარეზე იყო.

პარტიის VI ყრილობაზე, რომელმაც პარტიას მიზნად დაუსახა შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ პოლიტიკური ანგარიშით გამოსულმა ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი გათავდა, დადგა არამშვიდობიანი პერიოდი, შეტაკებათა და აფეთქებათა პერიოდი...".

ყრილობის მიერ გამოშვებული მანიფესტი პარტიისა მუშებს, ჯარისკაცებს, გლეხებს მოუწოდებდა მოემზადებინათ ძალები ბურჟუაზიასთან გადამწყვეტი შეტაკებისათვის. იგი თავდებოდა შემდეგი სიტყვებით:

„მაშ ემზადეთ ახალი ბრძოლებისათვის, ჩვენო მებრძოლო ამხანაგებო! მედგრად, მამაცურად და მშვიდად მოიკრიბეთ ძალღონე, დაეწყეთ მებრძოლ კოლონებად, არ აჰყვეთ პროვოკაციას! პარტიის დროშის ქვეშ, პროლეტარებო და ჯარისკაცებო! ჩვენი დროშის ქვეშ, დაჩაგრულო სოფლებო!".

1917 წლის 7 ნოემბერს ბოლშევიკები გაუძღვნენ ხალხს კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრეთა საიერიშოდ. ლენინი და სტალინი პირადად ხელმძღვანელობდნენ აჯანყებას. ხალხმა გაიმარჯვა.

დეკრეტი ზავის შესახებ, დეკრეტი მიწის შესახებ, რომელმაც მემამულეთა, საუფლისწულო და სამონასტრო მიწები გადასცა მშრომელებს უსასყიდლო სარგებლობაში, საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებები იყო.

ბურჟუაზიის ყველა ცდა შეეჩერებინა სოციალისტური რევოლუციის ტრიუმფალური სვლა ამაო იყო.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი იძლევა იმ მთავარი მიზეზების ღრმა ანალიზს, რომლებმაც განსაზღვრეს სოციალისტური რევოლუციის ასეთი შედარებით ადვილი გამარჯვება რუსეთში. ოქტომბრის რევოლუციას თავის წინ ჰყავდა ისეთი შედარებით სუსტი, ცუდად ორგანიზებული, პოლიტიკურად ნაკლებ გამოცდილი მტერი, როგორიც იყო რუსეთის ბურჟუაზია.

„ეკონომიურად ჯერ კიდევ წელმოუმაგრებელ და მთავრობის დაკვეთებზე მთლიანად დამოკიდებულ რუსეთის ბურჟუაზიას არ გააჩნდა არც პოლიტიკური დამოუკიდებლობა, არც საკმაო ინიციატივა, რაც საჭირო იყო მდგომარეობიდან გამოსავლის საპოვნელად. მას არა ჰქონდა არც დიდი მასშტაბის პოლიტიკური კომბინაციების და პოლიტიკური მოტყუების გამოცდილება, რომელიც აქვს, მაგალითად, საფრანგეთის ბურჟუაზიას, არც დიდი გაქანების თაღლითური კომპრომისების სკოლა, რომელიც აქვს, მაგალითად, ინგლისის ბურჟუაზიას".

მაშასადამე, კაპიტალიზმის ჯაჭვი გაწყვეტილ იქნა ყველაზე უფრო სუსტ ადგილას.

ოქტომბრის რევოლუციას სათავეში ედგა ისეთი რევოლუციური კლასი, როგორიცაა რუსეთის მუშათა კლასი, ბრძოლებში გამობრძმედილი კლასი, რომელმაც მოკლე ხანში განვლო ორი რევოლუცია და რომელმაც მესამე რევოლუციის დაწყების დროისათვის ზავისა, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ხალხის ბელადის ავტორიტეტი მოიპოვა. რუსეთის მუშათა კლასს რევოლუციაში ჰყავდა ისეთი სერიოზული მოკავშირე, როგორიცაა ღარიბი გლეხობა, რომელიც გლეხური მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენს... მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის კავშირის არსებობამ განსაზღვრა აგრეთვე მოქმედება საშუალო გლეხებისა, რომლებიც დიდხანს მერყეობდნენ და რომლებმაც მხოლოდ ოქტომბრის აჯანყების წინ იბრუნეს პირი ისე, როგორც საჭიროა, რევოლუციისაკენ, შეუერთდნენ ღარიბ გლეხობას.

მტკიცებაც კი არ არის საჭირო, რომ ასეთი კავშირის გარეშე ოქტომბრის რევოლუცია ვერ გაიმარჯვებდა.

მუშათა კლასის სათავეში იდგა პოლიტიკურ ბრძოლებში ნაცადი ისეთი პარტია, როგორიცაა ბოლშევიკების პარტია. ოქტომბრის რევოლუცია დაიწყო მაშინ, როდესაც იმპერიალისტური ომი გაჩაღებული იყო, როდესაც მთავარი ბურჟუაზიული სახელმწიფოები გაყოფილი იყვნენ ორ ბანაკად და არ შეეძლოთ აქტიურად გამოსულიყვნენ ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ.

დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაანადგურა წოდებრივი წყობილების ნაშთები და ნაციონალური ჩაგვრის რეჟიმი. საბჭოთა ხელისუფლებამ ლიკვიდაცია უყო კონტრრევოლუციურ პრესას და კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებს, დაითხოვა ბურჟუაზიული დამფუძნებელი კრება, მიწის ნაციონალიზაციის შემდეგ ნაციონალიზაცია უყო მთელ მსხვილ მრეწველობას, გააუქმა უცხოეთის ყველა კაბალური სესხი და ქვეყანა ომის მდგომარეობიდან გამოიყვანა.

ბრესტის მძიმე ზავის დადების შემდეგ, რომელიც იმავე დროს წარმოადგენდა აუცილებელ პირობას შესვენებისა და შემოქმედებითი მუშაობის გაშლისათვის, ლენინი სწერდა:

„აუტანელად მძიმეა ზავის პირობები. მაგრამ ისტორია მაინც თავისას გაიტანს... ხელი მოვკიდოთ მუშაობას ორგანიზაციისა, ორგანიზაციისა და ორგანიზაციისათვის. მომავალი, ყოველგვარ განსაცდელთა მიუხედავად — ჩვენია" (ლენინი, ტ. XXII, გვ. 288).

შესვენება პარტიამ გამოიყენა იმისათვის, რომ მოეხდინა რევოლუციის ძალების ორგანიზაცია. როდესაც 14 სახელმწიფოს ინტერვენტებმა და რუსმა თეთრგვარდიელებმა დასძრეს თავისი ურდოები ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, ისინი წააწყდნენ მძაფრ წინააღმდეგობას. ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის წინამძღოლობით დაიცვა თავისი თავისუფლება და დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრები.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი გვიჩვენებს კაპიტულანტებისა და ოპორტუნისტების — ზინოვიევის, კამენევის, რიკოვის, ბუხარინის, ტროცკის, პიატაკოვის გამცემლობის გზას, რომლებიც რევოლუციის უბოროტესი მტრები, შავი მოღალატეები, ფაშიზმის აგენტები, დაქირავებული ჯაშუშები და მკვლელები გახდნენ.

კამენევმა, რიკოვმა და პიატაკოვმა გაილაშქრეს ლენინის აპრილის თეზისების წინააღმდეგ. აპრილის კონფერენციაზე კამენევი და რიკოვი, ღეჭავდნენ რა ძველ მენშევიკურ დებულებებს, გამოვიდნენ განცხადებით, რომ რუსეთი არ მომწიფებულა სოციალისტური რევოლუციისათვის, რომ რუსეთში მხოლოდ ბურჟუაზიული რესპუბლიკაა შესაძლებელი. ზინოვიევიც ამ კონფერენციაზე გამოვიდა ლენინის წინააღმდეგ იმ საკითხში, უნდა დარჩეს თუ არა ბოლშევიკური პარტია ციმერვალდის გაერთიანებაში, თუ შექმნილ იქნას ახალი ინტერნაციონალი. პარტიის VI ყრილობაზე ბუხარინი, რომელიც ტროცკისტულ პოზიციებზე იდგა, ამტკიცებდა, რომ გლეხები ბურჟუაზიასთან ბლოკში არიან და პროლეტარიატს არ გაჰყვებიან. ამავე ყრილობაზე კამენევი, რიკოვი და ტროცკი გამცემლურად მოითხოვდნენ, რომ ლენინი, რომელიც მაშინ არალეგალურად ცხოვრობდა, გამოცხადებულიყო კონტრრევოლუციის სამსჯავროს წინაშე. კამენევი და ზინოვიევი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ სხდომაზე 10 ოქტომბერს გამოვიდნენ წინააღმდეგ გადაწყვეტილებისა შეიარაღებული აჯანყების შესახებ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მენშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში" დაბეჭდეს თავისი განცხადება, რომლითაც მტრებს გაუმჟღავნეს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება აჯანყების შესახებ, რაც პირდაპირ ღალატს წარმოადგენდა. ბრესტ-ლიტოვსკში გერმანელებთან მოლაპარაკების დროს ტროცკიმ მოღალატურად დაარღვია ბოლშევიკური პარტიის პირდაპირი დირექტივები, როდესაც უარი სთქვა ხელშეკრულების ხელისმოწერაზე და განაცხადა: „არც ზავი და არც ომი", რაც ხელსაყრელი იყო მხოლოდ გერმანელი იმპერიალისტებისათვის.

გამცემლებს, რომლებიც შეიპარნენ პარტიაში და ცდილობდნენ მისი ძლიერებისათვის შიგნიდან გამოეთხარათ ძირი, — ბუხარინსა და მის თანამოაზრეებს, რომლებიც შენიღბვის მიზნით თავის თავს „მემარცხენე კომუნისტებს" უწოდებდნენ, ტროცკისთან და „მემარცხენე" ესერებთან ერთად — ჯერ კიდევ 1918 წელს ფარული შეთქმულება ჰქონდათ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, მათ მიზნად დაისახეს ბრესტის ხელშეკრულების ჩაშლა, ლენინის, სტალინის, სვერდლოვის დაპატიმრება, მათი მოკვლა და ახალი მთავრობის შედგენა ბუხარინელებისა, ტროცკისტებისა და „მემარცხენე" ესერებისაგან.

ასე მოქმედებდნენ ეს საზიზღარი მოღალატეები, რომლებმაც რევოლუციონერების ნიღაბი გაიკეთეს.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს ისტორიული მაგალითებით, თუ როგორ უნდა დავიცვათ უმწიკვლოდ პარტიული რიგების სიწმინდე, როგორი დაუნდობელი უნდა ვიყოთ ყველა იმათ მიმართ, ვინც ხელს აღმართავს პარტიაზე.

„ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, — ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მეშვიდე თავში, — დაამხვრია კაპიტალიზმი, წაართვა ბურჟუაზიას საწარმოო საშუალებანი და ფაბრიკები, ქარხნები, მიწა, რკინიგზები, ბანკები — მთელი ხალხის საკუთრებად, საზოგადოებრივ საკუთრებად გადააქცია.

მან დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა და უზარმაზარი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა გადასცა მუშათა კლასს და, ამგვარად, იგი გაბატონებულ კლასად გახადა.

ამით ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაიწყო ახალი ხანა კაცობრიობის ისტორიაში — პროლეტარული რევოლუციების ხანა".

შესწავლა პარტიის ცხოვრების, ჩვენი ხალხის ცხოვრების, მთელი კაცობრიობის ისტორიის ამ შესანიშნავი პერიოდისა, რომელიც მდიდარია გრანდიოზული მოვლენებით, საბჭოთა პატრიოტის, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის გულს აღავსებს სიამაყის გრძნობით თავისი დიდი ხალხისათვის, თავისი გმირული მუშათა კლასისათვის, თავისი სახელოვანი, მშობლიური, მტკიცე კომუნისტური პარტიისათვის, ლენინ-სტალინის პარტიისათვის, რომელმაც ჩვენი სამშობლო მიიყვანა ბრწყინვალე გამარჯვებამდე სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

„პრავდის" მოწინავე, 14/IX.

პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმი

14 სექტემბრის დილის სხდომა

პლენუმის 14 სექტემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პროფესიული კავშირების სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნის ამხ. პ. გ. მოსკატოვის მოხსენების გამო პროფესიული კავშირის ტიპიური წესდების პროექტის შესახებ. ყველა გამოსული ხაზს უსვამდა პროფესიული კავშირის ტიპიური წესდების მნიშვნელობას და მხარს უჭერდა მოხსენების ძირითად დებულებებს.

ამხ. **ლებედევი** (ორჯონიკიძის სახელობის კოლჩუგინსკის ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარე) საწინააღმდეგო აზრს გამოსთქვამდა იმის შესახებ, რომ, წესდების პროექტის მიხედვით, პროფჯგუფორგი შეარჩევს სადაზღვევო დელეგატს, საზოგადოებრივ ინსპექტორს შრომის დაცვის დარგში და სხვ. ამხ. ლებედევის აზრით, ეს მუშაკები არჩეულნი უნდა იქნან.

ამხ. **ივანოვი** (რეზინ-კაუჩუკის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე), ამხ. **გლებოვი** (სამეურნეო დაწესებულებათა მუშაკების კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე) და სხვები აღნიშნავდნენ, რომ დიდ საწარმოებში, სადაც მთელი ქარხნის საამქროს მუშათა საერთო კრების მოწვევა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, საკითხი კავშირში მიღების შესახებ უნდა სწყდებოდეს არა საამქროს კრებაზე, არამედ, როგორც წესდების პროექტითაა გათვალისწინებული, პროფკავშირული ჯგუფის საერთო კრებაზე.

ამხ. **ტრუსოვმა** (საფინანსო-საბანკო მუშაკების კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე) წინადადება შეიტანა, რათა იმ კარს, სადაც ლაპარაკია კავშირიდან წევრების გარიცხვის შესახებ, დაემატოს აღმზრდელობითი ღონისძიების სერიოზული საშუალება—პროფკავშირის წევრობიდან განსაზღვრული ვადით გარიცხვა.

ამხ. **სკობელევი** (სამხრეთის შოფერთა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე) არასაკმაოდ სთვლის რწმუნების ვადას საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებისათვის — 1 წელს, ხოლო ცენტრალური კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტებისათვის—2 წელს. მისი აზრით, ეს ვადა გაგრძელებულ უნდა იქნას.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. **მირონოვი** (სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მუშათა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე), **პოტაპოვი** (გემთმშენებელი მრეწველობის მუშათა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე), **შიბანოვი** (პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს სტუდბიურო), **ნოვოსელოვი** (მსუბუქი, სატყეო და საკვები მრეწველობის მშენებლობის მუშათა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე) და სხვები.

(საკდესი)

14 სექტემბრის საღამოს სხდომა

პლენუმის საღამოს სხდომაზე კამათი გრძელდებოდა პროფესიული კავშირის წესდების პროექტის შესახებ. ამხ. **მოსკატოვის** მოხსენების გარშემო გამოსული ამხანაგების შესწორებანი და წინადადებანი შეჰქონდათ წესდების პროექტის ცალკეულ კართა მიხედვით.

ამხ. **შჩერბაკოვი** (ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საკისრების 1-ლი ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, მოსკოვი) მთლიანად ემხრობა პროექტის პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების რეგულარულ ანგარიშგებას კავშირის წევრთა წინაშე და ამ უკანასკნელთა უფლებას ვადამდე გაიწვიონ თავისი წარმომადგენლები, რომელთაც ვერ გაამართლეს ნდობა, და საჭიროდ სთვლის ჩაიწეროს რომ კავშირთა საოლქო, სამხარეო და ცენტრალური კომიტეტებიც ასევე რეგულარულად აბარებენ ანგარიშს თავიანთი მუშაობის შესახებ.

ამხ. **ვლადიმიროვი** (ხორცისა და მაცივარი მრეწველობის მუშათა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე) აყენებს საკითხს საქარხნო კომიტეტის წევრთა რაოდენობის გადიდების საჭიროების შესახებ.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. **ოვანესოვი** (სამხრეთ რაიონების თევზის მრეწველობის მუშათა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე), **რაისოვი** (ყაზახეთისა და შუა აზიის მეხორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობების მუშათა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე), **შერშუკოვი** („ელექტროსტალის" ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, მოსკოვის ოლქი) და სხვები.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. მოსკატოვი.

პლენუმის გადაწყვეტილებით პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს VI პლენუმზე არჩეული საწესდებო კომისია განაგრძობს თავის მუშაობას და საჭირო დამატებებს შეიტანს ტიპიური წესდების პროექტში და მხედველობაში მიიღებს კამათში გამოთქმულ წინადადებებს.

პლენუმმა დაავალა პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალურ საბჭოს მოისმინოს ინფორმაცია საწესდებო კომისიის მუშაობის შესახებ და გამოაქვეყნოს პროფკავშირის ტიპიური წესდების პროექტი არა უგვიანეს 2 თვისა სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობამდე.

პლენუმმა შეავსო საწესდებო კომისიის შემადგენლობა. (საკდესი)

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულ იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ ჰენლაინელებმა ულტიმატუმი წაუყენეს ჩეხოსლოვაკიის მთავრობას, სახელმწიფო მდივანმა (ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრი) ჰელმა თათბირი გამართა სახელმწიფო დეპარტამენტის სხვა მოხელეებთან. ჰელმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გულდასმით ადევნებს თვალყურს მოვლენათა განვითარებას ევროპაში და რომ იგი ტელეფონით არის დაკავშირებული პრეზიდენტ რუზველტთან, რომელიც ამჟამად როჩესტერში (მინესოტას შტატი) იმყოფება.

იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში სენ-კონტენმა საფრანგეთიდან ვაშინგტონში დაბრუნებისთანავე ინახულა სახელმწიფო დეპარტამენტი.

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 15 სექტემბერი (საკდესი). 14 სექტემბრის საღამოსათვის, არსებული ცნობების მიხედვით, ჰენლაინელთა პუტჩი სრული მარცხით დამთავრდა.

საღამოს 6 საათისათვის დამთავრდა ქალაქ გაბერსბირკის გაწმენდა მეამბოხეებისაგან. ამ ქალაქში გამაგრებული იყო 2 ათასი ჰენლაინელი მოიერიშე, რომლებსაც ჰქონდათ 2 საარტილერიო ქვემეხი, მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევები და ა. შ. ჰენლაინელ მეამბოხეთა წინააღმდეგ აამოქმედეს ჯავშნიანი მანქანები და ტანკები. მოკლე შეტაკების შემდეგ, რომლის დროსაც მოკლულ იქნა 14 ჟანდარმი და 30 ჰენლაინელი, ჰენლაინელ მეამბოხეებს ალყა შემოარტყეს და ისინი იძულებული გახდნენ დანებებულიყვნენ.

მოსაზღვრე ქალაქ შვადერბახში მდგომარეობა საღამოს 9 საათამდე უცვლელი იყო. სამხედრო ნაწილებს არ შეეძლოთ საბრძოლო მოქმედების დაწყება, ვინაიდან ჰენლაინელებმა და ჰენლაინელ „ლეგიონერთა" ჯგუფებმა, რომლებიც გერმანიის ტერიტორიიდან მოვიდნენ, ამოთხარეს ტრანშეები ზედ საზღვართან, ხოლო დაპატიმრებული ჟანდარმები და მძევლები მოათავსეს იმ შენობის სარდაფში, რომლის ნახევარი გერმანიის ტერიტორიაზე მდებარეობს. ჰენლაინელები აშკარა პროვოკაციული მიზნით ცდილობდნენ, რომ ამ რაიონში სამხედრო მოქმედებას გამოეწვია საზღვრის დარღვევა. გვიან საღამოს ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ნაწილებმა, რომლებითაც ქალაქი ალყა შემორტყმული იყო, მოახდინეს ჰენლაინელთა პუტჩის ამ კერის ლიკვიდაციაც.

გუშინ ქალაქ ხებში მოხდა ახალი შეიარაღებული შეტაკება. ჟანდარმერიამ გაჩხრიკა ჰენლაინელთა ცენტრალური ხელმძღვანელობის შენობა და აღმოაჩინა იქ იარაღის დიდი საწყობები.

უკანასკნელი ცნობებით ჰენლაინელების პუტჩის მსხვერპლთა საერთო რიცხვი უდრის 65 კაცს, აქედან 26 ჩეხი და 39 ჰენლაინელი.

გუშინ საღამოს რადიოთი გადაცემულ იქნა მთავრობის ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ სუდეტის ოლქში წესრიგი აღდგენილია.

13 სექტემბერს ღამით რენსიმენის მისიის წევრები ეშტონ-გუეტკინი, პეტო და ჰენდერსონი ჩავიდნენ ქალაქ აშში, სადაც შეხვდნენ ჰენლაინს. ამბობენ თითქოს ინგლისელებმა ჰენლაინს შესთავაზეს შექმნილი მდგომარეობიდან „საპატიო გამოსავალის" პროექტი. ჰენლაინმა განაცხადა, რომ მთავრობასთან მოლაპარაკების მწარმოებელი დელეგაცია მან დაშალა და რომ ჰენლაინელები დაჟინებით მოითხოვენ, რათა დაუყოვნებლივ იქნას დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნები „თვითგამორკვევის" შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-3 პლენუმი

გუშინ, 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დარბაზში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის III პლენუმი.

პლენუმი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა **კ. ჩარკვიანმა.**

პირველ სხდომაზე მოსმენილ და განხილულ იქნა ორი საკითხი: პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის შესახებ და თანამგრძნობთა შორის მუშაობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. **ბარამია,** მეორე საკითხზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. **ა. კვაჭაძე.**

მოხსენებების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ნ. გაბუნიამ** (საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის სახ. რაიკომის მდივანი), **მ. მურადაშვილმა** (თბილისის მაუდის ფაბრიკის პარტკომის მდივანი), **ელ. ძნელაძემ** (აბრეშუმის ფაბრიკის პარტკომის მდივანი), **ს. მილშტეინმა** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი), **ვ. ლუარსაბოვმა** (ნავთლუღის რკ. გზ. კვანძის პარტკომის მდივანი), **ერ. ფოფხაძემ** (სას.-სამ. ინსტიტუტის პარტკომის მდივანი), **ნ. დევიძემ** (თბილისის სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი), **ე. წამალაიძემ** (სტალინის სახ. ვაგონშემკეთებელი ქარხანა), **ვ. სიხარულიძემ** (საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. 26 კომ. სახ. რაიკომის მდივანი), **ს. იშხანოვმა** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი).

პლენუმმა გამოჰყო მოსმენილ მოხსენებების გამო ღონისძიებათა შემმუშავებელი კომისია.

ამით პლენუმის პირველი სხდომა დაიხურა.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლა მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციებში

დედაქალაქის რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში დიდი მუშაობა ტარდება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლის მოსამზადებლად.

პარტგანათლების ქსელის ყველა წრე დღეიდან გადადის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლაზე. საწარმოებსა და დაწესებულებებში ტარდება კითხვა და საუბრები, რომლებზედაც პარტიულები და უპარტიო ბოლშევიკები წინასწარ ეცნობიან ახალ სახელმძღვანელოს.

პირველი მაისის სახელობის პარტიის რაიკომთან ეწყობა სემინარები პროპაგანდისტებისათვის, სწარმოებს ხელმძღვანელთა შერჩევა. ამ დღეებში სწავლას შეუდგა რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების 150 პროპაგანდისტი.

ხვალ ლენინგრადის რაიონში მუშაობას იწყებს პროპაგანდისტთა ორთვიანი კურსები.

ესპანელი ხალხის არმია თავდადებულად და გმირულად იგერიებს გამხეცებულ ფაშისტ ინტერვენტებს. სურათზე: სახალხო არმიის მებრძოლნი სანგრებში. „სოიუზფოტო"

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

ფაშისტები ცეცხლს ეთამაშებიან

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სხდომა

პრაღა, 14 სექტემბერი (საკდესი). დღეს დილიდანვე მიმდინარეობს მინისტრთა კაბინეტის სხდომა. პრემიერმა გოჯამ სხდომის დაწყებამდე მიიღო საფრანგეთის ელჩი დე ლაკრუა და ინგლისისა—ნიუტონი.

ლორდ რენსიმენის კომისია, სჩანს, სრულიად დაიბნა. რენსიმენი გადავიდა ინგლისის საელჩოს შენობაში. კომისიის უკანასკნელ აქტს წარმოადგენს მისი წევრების ეშტონ-ჰუეტკინის და პეტოს ხებში გაგზავნა ჰენლაინელთა ხელმძღვანელობასთან „კონტაქტის" აღსადგენად, რათა დაიყოლიოს ისინი მთავრობასთან მოლაპარაკების განახლებაზე.

ანტიფაშისტური დემონსტრაცია ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 14 სექტემბერი (საკდესი). გუშინ ქალაქ ოლომოუცში (მორავიის სამრეწველო ცენტრი) ყველა ანტიფაშისტურმა პარტიამ მოაწყო ჩეხ და გერმანელ მშრომელთა დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 35 ათასი კაცი. ცნობას მთავრობის მიერ სუდეტის ოლქში წესრიგის აღდგენისათვის მიღებულ ღონისძიებათა შესახებ დამსწრენი შეხვდნენ აღფრთოვანებული ოვაციით პრეზიდენტ ბენეშის, მთავრობისა და არმიის სარდლობის მიმართ. 35 ათასი ხელი აღიმართა ჰაერში, როდესაც წაკითხულ იქნა რესპუბლიკისადმი ერთგულების ფიცი.

დემონსტრაცია შესდგა ორი საათით ადრე, სანამ გამოქვეყნდებოდა მთავრობის დადგენილება კრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ.

ინგლისის პრესა ჰენლაინელთა პუტჩის შესახებ

ლონდონი, 14 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის გაზეთების სპეციალური კორესპონდენტები, რომლებმაც სუდეტის ოლქის იმ რაიონებში დაჰყვეს, სადაც ჰენლაინელების შეიარაღებული გამოსვლები იყო, თავის ცნობებში ხაზს უსვამენ ამ გამოსვლების ორგანიზებულობას.

კორესპონდენტთა სიტყვით, გამოსვლები დაიწყო ბრძანების თანახმად და, სჩანს, ისინი მოეწყო მაშინვე, როგორც კი ჰიტლერმა წარმოსთქვა სიტყვა. გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის" სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, რომ ის სცენები, რომლებიც მან ზემო-ბოჰემიის ქალაქებში ნახა, მას მოაგონებენ იმას, რაც ავსტრიაში ხდებოდა გერმანიის მიერ მისი აღების წინ.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" სპეციალური კორესპონდენტის სიტყვით, ჰენლაინელების გამოსვლის მიზანი იყო, ისე, როგორც ამას ავსტრიაში ქონდა ადგილი, საბაბი შეექმნა ჩეხოსლოვაკიაში გერმანიის შეჭრისათვის. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ავსტრიაში გაგზავნილ იქნა გერმანიის ჯარი, ხოლო ამ შემთხვევაში კი ეს არ მოხდა, თუმცა ჰენლაინელები აცხადებენ, რომ ისინი მოელოდნენ გერმანიის ჯარის მოსვლას. შემდეგ კორესპონდენტი სწერს, რომ ჰიტლერის სიტყვა სიგნალს წარმოადგენდა ჰენლაინელების გამოსასვლელად სუდეტის ოლქის ყველა რაიონში. ჰენლაინელებს წინადადება ჰქონდათ მიცემული ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყვნენ, რათა მოესმინათ ჰიტლერის სიტყვა. სიტყვის დამთავრების შემდეგ ჰენლაინელთა მოერიშენი თავიანთი ხელმძღვანელების მეთაურობით, რომელთაც სახელოებზე ჰქონდათ სვასტიკის ნიშნები, გამოვიდნენ ქუჩებში და დაიწყეს რბევა და ძარცვა. შემდეგ კორესპონდენტი სწერს, რომ ჩეხთა პოლიციამ სავსებით აღადგინა წესრიგი ყველა ქალაქში, რომლებიც მან პრაღაში უკან დაბრუნებისას ინახულა.

ინგლისის მინისტრთა თათბირი

ლონდონი, 14 სექტემბერი (საკდესი). გუშინ მოხდა ინგლისის მინისტრთა თათბირი ჩემბერლენის, ჰალიფაქსის, საიმონისა და ჰორის მონაწილეობით. თათბირს დაესწრნენ აგრეთვე სამხედრო მინისტრი, საზღვაო მინისტრი, ავიაციის მინისტრი და ინგლისის საჰაერო ძალთა სარდალი. ჰიტლერის სიტყვასთან დაკავშირებით მინისტრებმა კვლავ განიხილეს საკითხი ცენტრალური ევროპის მდგომარეობის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰალიფაქსმა და მისმა მოადგილემ კადოგანმა პრემიერი საღამოს დაახლოებით 11 საათზე დასტოვეს.

გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" პოლიტიკური მიმომხილველი იუწყება, რომ ამ თათბირზე მინისტრებმა განიხილეს გეგმა ინგლისის სამხედრო ძალების განლაგებისა ომის შემთხვევაში და დაამტკიცეს უკვე შემუშავებული სამობილიზაციო გეგმები. გაზეთ „დეილი ჰერალდის" დიპლომატიური მიმომხილველი იუერი ირწმუნება, რომ მინისტრთა თათბირის შემდეგ ჰიტლერს გაეგზავნა ახალი უფრო გადამწყვეტი გაფრთხილება, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისს არ შეუძლია დარჩეს ნეიტრალური იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა კონფლიქტი, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საფრანგეთის უშიშროებას.

როგორც გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" იუწყება, ჰიტლერის სიტყვის შემდეგ მინისტრებმა საჭიროდ დაინახეს ჩაეტარებინათ უფრო არსებითი სათავდაცვო ღონისძიებანი. მიმომხილველის სიტყვით, ინგლისისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებს შორის ხდება ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა და დამყარებულია უმჭიდროესი კონტაქტი.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს დილის 11 საათზე შესდგა ინგლისის კაბინეტის სხდომა. ამ სხდომაზე განხილულ იქნა იმ საუბრის შედეგები, რომელიც გუშინ ჩემბერლენს ჰქონდა მინისტრებთან.

ჩემბერლენის გამგზავრება გერმანიაში

ლონდონი, 15 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისის პრემიერი ჩემბერლენი დღეს დილით 8 საათსა და 35 წუთზე გერმანიაში გაფრინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით. **მოკლე კურსი.** მოწონებულია საკ. კ. პ.(ბ) ც. კ-ის მიერ. 1938 წელი.

თავი III

მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომის და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში

(1904—1907 წლებში)

1. რუსეთ-იაპონიის ომი. რევოლუციური მოძრაობის შემდგომი აღმავლობა რუსეთში. გაფიცვები პეტერბურგში. მუშათა დემონსტრაცია ზამთრის სასახლესთან. 1905 წლის 9 იანვარი. დემონსტრაციის დახვრეტა. რევოლუციის დაწყება.

XIX საუკუნის დამლევიდან იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა გაძლიერებული ბრძოლა დაიწყეს წყნარ ოკეანეზე ბატონობისათვის, ჩინეთის დანაწილებისათვის. ამ ბრძოლაში მეფის რუსეთიც იღებდა მონაწილეობას. 1900 წელს მეფის ჯარებმა იაპონიის, გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებთან ერთად უმაგალითო სისასტიკით ჩააქრეს ჩინეთში სახალხო აჯანყება, რომელიც თავისი მახვილით უცხოელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ იყო მიმართული. კიდევ უფრო ადრე მეფის მთავრობამ აიძულა ჩინეთი გადაეცა რუსეთისათვის ლიაოდუნის ნახევარკუნძული პორტ-არტურის ციხე-სიმაგრით. რუსეთმა მიაღწია იმას, რომ მოიპოვა ჩინეთის ტერიტორიაზე რკინიგზების გაყვანის უფლება. გაყვანილ იქნა რკინიგზა ჩრდილო მანჯურიაში — აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზა და მის დასაცავად შეიყვანეს რუსის ჯარები. მეფის რუსეთმა მოახდინა ჩრდილო მანჯურიის სამხედრო ოკუპაცია. ცარიზმი ხელს უპორტინებდა კორეას. რუსეთის ბურჟუაზია მანჯურიაში „ჟელტოროსიის“ შექმნის გეგმებს ადგენდა.

შორეულ აღმოსავლეთში ტერიტორიების დაპყრობის დროს ცარიზმი წააწყდა მეორე მტაცებელს — იაპონიას, რომელიც მალე გადაიქცა იმპერიალისტურ ქვეყნად და აგრეთვე ცდილობდა დაეპყრო ტერიტორიები აზიის მატერიკზე, პირველ რიგში ჩინეთის ხარჯზე. იაპონია, ისე, როგორც მეფის რუსეთიც, ცდილობდა დაესაკუთრებინა კორეა და მანჯურია. იაპონია უკვე მაშინაც ოცნებობდა სახალინისა და შორეულ აღმოსავლეთის დაპყრობაზე. ინგლისი, რომელსაც შორეულ აღმოსავლეთში მეფის რუსეთის გაძლიერებისა ეშინოდა, მალულად იაპონიის მხარეზე იყო. მწიფდებოდა რუსეთ-იაპონიის ომი. მეფის მთავრობას ამ ომისაკენ უბიძგებდნენ მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც ახალ ბაზრებს ეძებდა, და მემამულეთა ყველაზე რეაქციული ფენები.

იაპონიამ არ დაუცადა მეფის მთავრობის მიერ ომის გამოცხადებას და პირველმა დაიწყო იგი. იაპონიამ, რომელსაც რუსეთში კარგი დაზვერვა ჰქონდა მოწყობილი, იფიქრა, რომ ამ ბრძოლაში მას საქმე ექნება მოუმზადებელ მოწინააღმდეგესთან. ომის გამოუცხადებლად იაპონია 1904 წლის იანვარში მოულოდნელად დაესხა თავს რუსეთის ციხე-სიმაგრე პორტ-არტურს და სერიოზული ზარალი მიაყენა რუსეთის ფლოტს, რომელიც პორტ-არტურში იმყოფებოდა.

ასე დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი.

მეფის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ომი დაეხმარება მას განამტკიცოს თავისი პოლიტიკური მდგომარეობა და შეაჩეროს რევოლუცია. მაგრამ მას ანგარიში არ გაუმართლდა. ომმა კიდევ უფრო მეტად შეარყია ცარიზმი.

ცუდად შეიარაღებულმა და ცუდად გაწვრთნილმა რუსეთის არმიამ, რომელსაც უნიჭო და მოსყიდული გენერლები ხელმძღვანელობდნენ, ზედიზედ იგემა დამარცხება.

ომის წყალობით ჯიბეს ისქელებდნენ კაპიტალისტები, მოხელეები, გენერლები. ირგვლივ გამეფებული იყო ქურდობა. ჯარებს ცუდად ამარაგებდნენ. როდესაც ყუმბარები აკლდათ, არმია, თითქოს დასცინიანო, ხატებით დატვირთულ ვაგონებს ღებულობდა. ჯარისკაცები მწუხარებით ამბობდნენ: „იაპონელები ჩვენ ყუმბარებს გვიშენენ, ჩვენ კი მათ — ხატებსო“. დაჭრილთა გადაყვანის ნაცვლად, საგანგებო მატარებლებს მეფის გენერლების მიერ ნაძარცვი ქონება გამოჰქონდათ.

იაპონელებმა ალყა შემოარტყეს, ხოლო შემდეგ აიღეს პორტ-არტურის ციხე-სიმაგრე. მთელი რიგი დამარცხებანი აგემეს რა მეფის არმიას, მათ გაანადგურეს იგი მუკდენთან. მეფის არმიამ, რომელიც სამასი ათასი კაცისაგან შესდგებოდა, ამ ბრძოლაში მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით 120 ათას კაცამდე დაჰკარგა. ამას მოჰყვა ცუსიმის სრუტეში სრული განადგურება და დაღუპვა მეფის ფლოტისა, რომელიც ბალტიის ზღვიდან იყო გაგზავნილი ალყაშემორტყმული პორტ-არტურისათვის დახმარების გასაწევად. ცუსიმასთან დამარცხება სრულ კატასტროფას ნიშნავდა: მეფის მიერ გაგზავნილი ოცი სამხედრო გემიდან ჩასძირეს და მოსპეს ცამეტი, ტყვედ ჩაიგდეს ოთხი გემი. მეფის რუსეთმა საბოლოოდ წააგო ომი.

მეფის მთავრობა იძულებული გახდა დაედო იაპონიასთან სამარცხვინო ზავი. იაპონიამ ხელთ იგდო კორეა, წაართვა რუსეთს პორტ-არტური და ნახევარი სახალინი.

ხალხის მასებს არ უნდოდათ ეს ომი და შეგნებული ჰქონდათ, რომ იგი საზიანო იყო რუსეთისათვის. მეფის რუსეთის ჩამორჩენილობა ხალხს ძვირად უჯდებოდა.

ბოლშევიკები და მენშევიკები სხვადასხვანაირად ეკიდებოდნენ ამ ომს.

მენშევიკები, მათ შორის ტროცკი, ეშვებოდნენ ობორონცობის, ესე იგი მეფის, მემამულეთა და კაპიტალისტთა „სამშობლოს“ დაცვის პოზიციებზე.

ლენინი და ბოლშევიკები, პირიქით, ფიქრობდნენ, რომ მეფის მთავრობის დამარცხება ამ ყაჩაღურ ომში სასარგებლოა, ვინაიდან გამოიწვევს ცარიზმის დასუსტებას და რევოლუციის გაძლიერებას.

მეფის ჯარების დამარცხებანი ხალხის უფართოესი მასების წინაშე ააშკარავებდნენ ცარიზმის სიდამპლეს. ხალხის მასებში დღითი-დღე იზრდებოდა ცარიზმისადმი სიძულვილი. პორტ-არტურის დაცემა თვითმპყრობელობის დამხობის დასაწყისიაო, სწერდა ლენინი.

მეფეს უნდოდა ომით ჩაეხრჩო რევოლუცია. მან საწინააღმდეგოს მიაღწია. რუსეთ-იაპონიის ომმა დააჩქარა რევოლუცია.

მეფის რუსეთში კაპიტალისტურ ჩაგვრას აძლიერებდა ცარიზმის მხრივ ჩაგვრა. მუშებს სტანჯავდა არა მარტო კაპიტალისტური ექსპლოატაცია, საკატორღო შრომა, არამედ მთელი ხალხის უუფლებობაც. ამიტომ შეგნებული მუშები ცდილობდნენ სათავეში ჩასდგომოდნენ ქალაქისა და სოფლის ყველა დემოკრატიული ელემენტის რევოლუციურ მოძრაობას ცარიზმის წინააღმდეგ. გლეხობას სულს უხუთავდა უმიწობა, ბატონყმობის მრავალრიცხოვანი ნაშთები, იგი მემამულისა და კულაკის კაბალაში იმყოფებოდა. მეფის რუსეთში მოსახლე ხალხები განიცდიდნენ ორმაგ ჩაგვრას — თავისი საკუთარი და რუსი მემამულეებისა და კაპიტალისტების მხრივ. 1900-1903 წლების ეკონომიურმა კრიზისმა გააძლიერა მშრომელი მასების უბედურება, ომმა იგი კიდევ უფრო გაამწვავა. ომში დამარცხება აძლიერებდა მასებში ცარიზმისადმი სიძულვილს. ივსებოდა ხალხის მოთმინების ფიალა.

როგორც ვხედავთ, რევოლუციისათვის მიზეზები საკმაოზე მეტი იყო.

1904 წლის დეკემბერში ბოლშევიკთა ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩატარდა ბაქოს მუშების უდიდესი, კარგად ორგანიზებული გაფიცვა. ეს გაფიცვა დამთავრდა მუშათა გამარჯვებით, რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველი კოლექტიური ხელშეკრულების დადებით მუშებსა და ნავთის მრეწველებს შორის.

ბაქოს გაფიცვა გადაიქცა ამიერკავკასიასა და რუსეთის მთელ რიგ რაიონებში რევოლუციური აღმავლობის დასაწყისად.

„ბაქოს გაფიცვა მთელს რუსეთში იანვარ-თებერვლის სახელოვანი გამოსვლების სიგნალი გახდა“. **(სტალინი).**

ეს გაფიცვა თითქოს იყო ჭექა-ქუხილის წინამორბედი ელვა დიდი რევოლუციური ქარიშხლის წინ.

რევოლუციური ქარიშხლის დასაწყისს წარმოადგენდნენ 1905 წლის 9 (22) იანვრის ამბები პეტერბურგში.

1905 წლის 3 იანვარს დაიწყო გაფიცვა პეტერბურგის უდიდეს ქარხანაში — პუტილოვის (ახლა კიროვის) ქარხანაში. ეს გაფიცვა დაიწყო ქარხნიდან ოთხი მუშის დათხოვნის გამო. პუტილოვის ქარხანაში დაწყებული გაფიცვა სწრაფად გაიზარდა, მას შეუერთდნენ პეტერბურგის სხვა ქარხნები და ფაბრიკებიც. გაფიცვა საყოველთაო გახდა. მოძრაობა მრისხანედ იზრდებოდა. მეფის მთავრობამ გადასწყვიტა დასაწყისშივე ჩაექრო მოძრაობა.

ჯერ კიდევ 1904 წელს, პუტილოვის ქარხნის გაფიცვამდე, პოლიციამ პროვოკატორ ხუცესის გაპონის დახმარებით მუშებს შორის შექმნა თავისი ორგანიზაცია — „რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კრება“. ამ ორგანიზაციას თავისი განყოფილებები ჰქონდა პეტერბურგის ყველა რაიონში. როდესაც გაფიცვა დაიწყო, ხუცესმა გაპონმა თავისი საზოგადოებების კრებებზე წამოაყენა პროვოკატორული გეგმა: 9 იანვარს დაე შეიკრიბოს ყველა მუშა და საეკლესიო დროშებითა და მეფის პორტრეტებით მშვიდობიანი მსვლელობით წავიდეს ზამთრის სასახლისაკენ და მისცეს მეფეს პეტიცია (თხოვნა) თავის საჭიროებათა შესახებ. მეფე ხალხთან გამოვა, მოუსმენს და დააკმაყოფილებს მის მოთხოვნებსო. გაპონმა იკისრა მეფის ოხრანკისათვის დახმარების გაწევა: გამოეწვია მუშების დახვრეტა და სისხლში ჩაეხრჩო მუშათა მოძრაობა. მაგრამ პოლიციელთა გეგმა მეფის მთავრობის საწინააღმდეგოდ შეტრიალდა.

პეტიციას იხილავდნენ მუშათა კრებებზე, შეჰქონდათ მასში შესწორებანი და ცვლილებანი. ამ კრებებზე გამოდიოდნენ ბოლშევიკებიც, რომლებიც თავის თავს აშკარად ბოლშევიკებს არ უწოდებდნენ. მათი გავლენით პეტიციაში შეტანილ იქნა მოთხოვნები: პრესისა და სიტყვის თავისუფლების, მუშათა კავშირების თავისუფლების, რუსეთის სახელმწიფო წყობილების შესაცვლელად დამფუძნებელი კრების მოწვევის, კანონის წინაშე ყველასი თანასწორობის, სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების, ომის შეწყვეტის, 8 საათის სამუშაო დღის დაწესების და გლეხებისათვის მიწის გადაცემისა.

გამოდიოდნენ რა ამ კრებებზე, ბოლშევიკები უმტკიცებდნენ მუშებს, რომ არ შეიძლება თავისუფლების მოპოვება მეფისადმი თხოვნებით, არამედ საჭიროა მისი დაპყრობა იარაღით ხელში. ბოლშევიკები გაფრთხილებას იძლეოდნენ, რომ მუშებს ესვრიან. მაგრამ ზამთრის სასახლისაკენ მსვლელობის შეჩერება მათ ვერ შესძლეს. მუშათა მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ მეფე მათ დაეხმარება. მოძრაობა უდიდესი ძალით მოედო მასებს.

პეტერბურგის მუშათა პეტიციაში ნათქვამი იყო:

„ჩვენ, ქ. პეტერბურგის მუშები, ჩვენი ცოლები, შვილები და უმწეო მოხუცი მშობლები, მოვედით შენთან, ხელმწიფეო, რათა ვეძებოთ სიმართლე და დაცვა. ჩვენ გაღატაკდით, ჩვენ გვჩაგრავენ, გვტვირთავენ აუტანელი შრომით, აბუჩად გვიგდებენ, ჩვენ ადამიანებად არ გვთვლიან. ჩვენც ვითმენდით, მაგრამ ჩვენ სულ უფრო-დაუფრო მეტად გვიბიძგებენ სიღატაკის, უუფლებობის და უმეცრების ჭაობში, ჩვენ გვახრჩობს დესპოტიზმი და თვითნებობა... მოთმინების ფიალა აივსო. ჩვენთვის დადგა ის საშინელი მომენტი, როდესაც უკეთესია სიკვდილი, ვიდრე აუტანელი ტანჯვა-წამების განგრძობა...“

1905 წლის 9 იანვარს დილით ადრე მუშები წავიდნენ ზამთრის სასახლისაკენ, სადაც მაშინ მეფე იმყოფებოდა. მუშები მეფესთან მიდიოდნენ მთელი ოჯახებით — ცოლებით, შვილებით და მოხუცებით. მიჰქონდათ მეფის პორტრეტები და საეკლესიო ბაირაღები, ჰგალობდნენ ლოცვებს, მიდიოდნენ უიარაღოდ. სულ ქუჩებში 140 ათასზე მეტი კაცი შეგროვდა.

ნიკოლოზ მეორე მათ მტრულად შეხვდა. მან ბრძანა ესროლათ უიარაღო მუშებისათვის. ამ დღეს მეფის ჯარებმა მოჰკლეს ათასზე მეტი მუშა, 2 ათასზე მეტი დასჭრეს. პეტერბურგის ქუჩები მუშათა სისხლით მოირწყო.

ბოლშევიკები მუშებთან ერთად მიდიოდნენ. ბევრი მათგანი მოკლულ ან დაპატიმრებულ იქნა. ბოლშევიკები იქვე, მუშების სისხლით მორწყულ ქუჩებში, განუმარტავდნენ მუშებს თუ ვინ არის დამნაშავე ამ საშინელ ბოროტმოქმედებაში და როგორ უნდა მასთან ბრძოლა.

9 იანვრის დღეს ეწოდა „სისხლიანი კვირა“. 9 იანვარს მუშებმა სისხლიანი გაკვეთილი მიიღეს. ამ დღეს დახვრეტილ იქნა მუშათა რწმენა მეფისადმი. მათ შეიგნეს, რომ მხოლოდ ბრძოლით შეიძლება თავისი უფლებების მოპოვება. 9 იანვარს უკვე საღამოსათვის მუშათა რაიონებში იწყეს ბარიკადების აგება. მუშები ამბობდნენ: „მეფემ ჩვენ დაგვცხო, მაგრამ ჩვენც დავუცხებთ მას!“.

მეფის მიერ ჩადენილი სისხლიანი ბოროტმოქმედების საშინელი ამბავი ყველგან გავრცელდა. აღშფოთებამ და გულისწყრომამ მოიცვა მთელი მუშათა კლასი, მთელი ქვეყანა. არ ყოფილა ისეთი ქალაქი, სადაც მუშებს მეფის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად არ გამოეცხადებინოთ გაფიცვა და არ წამოეყენებინოთ პოლიტიკური მოთხოვნები. ახლა მუშები მიდიოდნენ ქუჩაში ლოზუნგით „ძირს თვითმპყრობელობა“. იანვარში გაფიცულთა რიცხვმა უდიდეს ციფრს — 440 ათასს მიაღწია. ერთი თვის განმავლობაში გაფიცული იყო იმაზე მეტი მუშა, ვიდრე მთელი წინანდელი ათი წლის განმავლობაში. მუშათა მოძრაობა უდიდეს სიმაღლეზე ავიდა.

რუსეთში დაიწყო რევოლუცია.

2. მუშების პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები. გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდა. აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე“

9 იანვრის შემდეგ მუშების რევოლუციურმა ბრძოლამ უფრო მწვავე, პოლიტიკური ხასიათი მიიღო. მუშებმა ეკონომიური გაფიცვებიდან და სოლიდარობის გაფიცვებიდან იწყეს გადასვლა პოლიტიკურ გაფიცვებზე, დემონსტრაციებზე, ალაგ ალაგ კი — მეფის ჯარებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევაზე. განსაკუთრებით შეუპოვარი და ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა გაფიცვებს დიდ ქალაქებში, სადაც თავმოყრილი იყვნენ მუშების მნიშვნელოვანი მასები, — პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში, რიგაში, ბაქოში. მებრძოლი პროლეტარიატის პირველ რიგებში იყვნენ მეტალისტები. მუშათა მოწინავე რაზმები თავისი გაფიცვებით ამოძრავებდნენ ნაკლებ შეგნებულ ფენებს, საბრძოლველად ფეხზე აყენებდნენ მთელ მუშათა კლასს. სოციალ-დემოკრატიის გავლენა სწრაფად იზრდებოდა.

საპირველმაისო დემონსტრაციებს მთელ რიგ ადგილებში თან სდევდა შეტაკებანი პოლიციასთან და ჯარებთან. ვარშავაში დემონსტრაციის დახვრეტის შედეგად იყო რამდენიმე ასეული მოკლული და დაჭრილი. ვარშავაში დემონსტრაციის დახვრეტაზე მუშებმა, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის მოწოდებით, პროტესტის საერთო გაფიცვით უპასუხეს. გაფიცვები და დემონსტრაციები მთელი მაისის განმავლობაში არ შეწყვეტილა. რუსეთში მაისს მომხდარ გაფიცვებში მონაწილეობდა დაახლოებით 200 ათასი მუშა. ბაქოს, ლოძის, ივანოვო-ვოზნესენსკის მუშები საერთო გაფიცვაში იყვნენ ჩაბმულნი. გაფიცულ მუშებს და დემონსტრანტებს სულ უფრო-დაუფრო ხშირად უხდებოდათ შეტაკება მეფის ჯარებთან. ასეთ შეტაკებებს ადგილი ჰქონდათ მთელ რიგ ქალაქებში — ოდესაში, ვარშავაში, რიგაში, ლოძსა და სხვა ქალაქებში.

ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო პოლონეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრში — ქალაქ ლოძში. ლოძის მუშებმა ქალაქის ქუჩები ათეული ბარიკადებით დაჰფარეს და სამ დღეს (1905 წ. 22-24 ივნისი) ქუჩებში ბრძოლას აწარმოებდნენ მეფის ჯარებთან. შეიარაღებული აჯანყება აქ საყოველთაო გაფიცვას შეუერთდა. ლენინს ეს ბრძოლები მიაჩნდა მუშების პირველ შეიარაღებულ გამოსვლად რუსეთში.

ზაფხულში მომხდარ გაფიცვებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების გაფიცვა. იგი გრძელდებოდა 1905 წლის მაისის დამლევიდან აგვისტოს დასაწყისამდე, ესე იგი თითქმის ორთვენახევარს. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 70 ათასი მუშა, მათ შორის იყო მრავალი ქალი. გაფიცვას ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების ჩრდილოეთის კომიტეტი. თითქმის ყოველდღე ქალაქგარეთ, მდინარე ტალკასთან, იკრიბებოდნენ ათასობით მუშები. აქ, კრებებზე, ისინი იხილავდნენ თავის მუშურ საჭიროებებს. მუშათა კრებებზე გამოდიოდნენ ბოლშევიკები. გაფიცვის ჩასაქრობად მეფის ხელისუფლებამ უბრძანა ჯარებს გაერეკათ მუშები, ტყვიები დაეშინათ მათთვის. მოჰკლეს რამდენიმე ათეული და დასჭრეს რამდენიმე ასეული მუშა. ქალაქში საალყო წესები გამოაცხადეს. მაგრამ მუშები მტკიცედ იყვნენ და მუშაობას არ ანახლებდნენ. მუშები და მათი ოჯახები შიმშილობდნენ, მაგრამ არ ნებდებოდნენ. მხოლოდ უკიდურესმა დაუძლურებამ აიძულა მუშები დაეწყოთ მუშაობა. გაფიცვამ გამოაწრთო მუშები. მან გვიჩვენა მუშათა კლასის სიმამაცის, სიმტკიცის, გამძლეობის, სოლიდარობის მაგალითი. იგი გახდა ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების პოლიტიკური აღზრდის ნამდვილი სკოლა.

ამ გაფიცვის პერიოდში ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებმა შეჰქმნეს რწმუნებულთა საბჭო, რომელიც ფაქტიურად იყო მუშათა დეპუტატების ერთერთი პირველი საბჭო რუსეთში.

მუშების პოლიტიკურმა გაფიცვებმა მთელი ქვეყანა შესძრეს. ქალაქის მიყოლებით ფეხზე დგებოდა სოფელიც. გაზაფხულიდან დაიწყო გლეხთა მღელვარება. გლეხები უდიდესი მასებით ილაშქრებდნენ მემამულეების წინააღმდეგ, ანადგურებდნენ მათ მამულებს, შაქრისა და არაყსახდელ ქარხნებს, ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სასახლეებსა და კარმიდამოებს. მთელ რიგ ადგილებში გლეხები ხელთ იგდებდნენ მემამულეთა მიწას, მასიურად სჩეხდნენ ტყეებს, მოითხოვდნენ მემამულეთა მიწების ხალხისათვის გადაცემას. გლეხები ხელთ იგდებდნენ მემამულეთა პურს და სხვა სურსათ-სანოვაგეს, ჰყოფდნენ ამას დამშეულთა შორის. დაშინებული მემამულეები იძულებული გახდნენ ქალაქებში გაქცეულიყვნენ. მეფის მთავრობა ჯარისკაცებსა და ყაზახებს ჰგზავნიდა გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად. ჯარები ჰხოცავდნენ გლეხებს, აპატიმრებდნენ „მოთავეებს“, ამათრახებდნენ და აწამებდნენ მათ. მაგრამ გლეხები ბრძოლას არ სწყვეტდნენ.

გლეხთა მოძრაობა სულ უფრო-დაუფრო ფართოვდებოდა რუსეთის ცენტრში, პოვოლჟიეში, ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში.

სოციალ-დემოკრატებმა სულ უფრო-დაუფრო ღრმად იწყეს შეჭრა სოფელში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა გლეხებისადმი: „გლეხებო, ჩვენი სიტყვა თქვენდამი“. ტვერის, სარატოვის, პოლტავის, ჩერნიგოვის, ეკატერინოსლავის, თბილისის და მრავალი სხვა გუბერნიის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები აქვეყნებდნენ მოწოდებებს გლეხებისადმი. სოფლად სოციალ-დემოკრატები აწყობდნენ კრებებს, ადგენდნენ წრეებს გლეხებისაგან, ჰქმნიდნენ გლეხთა კომიტეტებს. 1905 წლის ზაფხულში მთელ რიგ ადგილას ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო მუშათა გაფიცვები, რომლებიც მოწყობილი იყო სოციალ-დემოკრატების მიერ.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო გლეხთა ბრძოლისა. გლეხთა მოძრაობა მოდებული ჰქონდა მხოლოდ 85 მაზრას, ესე იგი მეფის რუსეთის ევროპული ნაწილის მაზრათა მთელი რიცხვის დაახლოებით ერთ მეშვიდედ ნაწილს.

მუშათა და გლეხთა მოძრაობამ და რუსეთის ჯარების მთელმა რიგმა დამარცხებებმა რუსეთ-იაპონიის ომში თავისი გავლენა მოახდინეს არმიაზე. ცარიზმის ეს დასაყრდენი შეირყა.

1905 წლის ივნისში იფეთქა აჯანყებამ შავიზღვის ფლოტში, ჯავშნოსან „პოტიომკინზე“. ჯავშნოსანი ამ დროს იდგა ოდესის მახლობლად, ოდესაში კი მუშების საერთო გაფიცვა მიმდინარეობდა. აჯანყებული მეზღვაურები გაუსწორდნენ მათთვის ყველაზე უფრო საძულველ ოფიცრებს და ჯავშნოსანი ოდესაში მოიყვანეს. ჯავშნოსანი „პოტიომკინი“ რევოლუციის მხარეზე გადავიდა.

ლენინი ამ აჯანყებას უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდა. მას საჭიროდ მიაჩნდა, რომ ბოლშევიკებს ხელმძღვანელობა გაეწიათ ამ მოძრაობისათვის, დაეკავშირებინათ იგი მუშების, გლეხების და ადგილობრივი გარნიზონების მოძრაობასთან.

მეფემ „პოტიომკინის“ წინააღმდეგ სამხედრო გემები გაგზავნა, მაგრამ ამ გემების მეზღვაურებმა უარი სთქვეს ტყვიები დაეშინათ თავისი აჯანყებული ამხანაგებისათვის. რამდენიმე დღეს ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ რევოლუციის წითელი დროშა ფრიალებდა. მაგრამ მაშინ, 1905 წელს, ბოლშევიკების პარტია არ იყო ერთადერთი პარტია, რომელიც მოძრაობას ხელმძღვანელობდა, როგორც ეს იყო უფრო გვიან, 1917 წელში. „პოტიომკინზე“ ცოტანი როდი იყვნენ მენშევიკები, ესერები და ანარქისტები. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებაში მონაწილეობდნენ ცალკეული სოციალ-დემოკრატები, მას არ გააჩნდა სწორი და საკმაოდ გამოცდილი ხელმძღვანელობა. მეზღვაურთა ნაწილი გადამწყვეტ მომენტებში შეყოყმანდა. შავიზღვის ფლოტის დანარჩენი გემები არ შეუერთდნენ აჯანყებულ ჯავშნოსანს. რევოლუციური ჯავშნოსანი, რომელსაც ქვანახშირი და სურსათი არ მოეპოვებოდა, იძულებული გახდა რუმინეთის ნაპირებისაკენ წასულიყო და რუმინეთის ხელისუფალთ დანებებოდა.

მეზღვაურთა აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ დამარცხებით გათავდა. მეზღვაურები, რომლებიც შემდეგ მეფის მთავრობის ხელში მოჰხვდნენ, სამართალში იქნენ მიცემულნი. ნაწილი სიკვდილით დასაჯეს, ნაწილი კი კატორღაში გადაასახლეს. მაგრამ თვით აჯანყების ფაქტს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ იყო პირველი მასობრივი რევოლუციური გამოსვლა არმიასა და ფლოტში, მეფის ჯარების დიდი ნაწილის პირველი გადასვლა რევოლუციის მხარეზე. ამ აჯანყებამ მუშათა, გლეხთა და განსაკუთრებით თვით ჯარისკაცთა და მეზღვაურთა მასებისათვის უფრო გასაგები და მახლობელი გახადა მუშათა კლასისადმი, ხალხისადმი არმიისა და ფლოტის შეერთების აზრი.

მუშების გადასვლა მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე, გლეხთა მოძრაობის გაძლიერება, პოლიციასთან და ჯარებთან ხალხის შეიარაღებული შეტაკებანი, დასასრულ, აჯანყება შავიზღვის ფლოტში, — ყოველივე ეს მოწმობდა, რომ მწიფდებოდა პირობები ხალხის შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამ გარემოებამ აიძულა ლიბერალური ბურჟუაზია სერიოზულად ამოქმედებულიყო. ეშინოდა რა რევოლუციისა და ამასთან ერთად აშინებდა რა მეფეს რევოლუციით, იგი ეძებდა გარიგებას მეფესთან რევოლუციის წინააღმდეგ და მოითხოვდა უმნიშვნელო რეფორმებს „ხალხისათვის“, რათა „დაემშვიდებინა“ ხალხი, გაეთიშა რევოლუციის ძალები და ამით თავიდან აეცილებინა „რევოლუციის საშინელებანი“. „გლეხებს უნდა მივუჭრათ მიწა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჩვენ გამოგვჭრიან ყელსო“, — ამბობდნენ ლიბერალური მემამულეები. ლიბერალური ბურჟუაზია ემზადებოდა იმისათვის, რომ გაეზიარებინა ხელისუფლება მეფესთან. „პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია კი ხელისუფლებისაკენ მიიპარება“, — სწერდა ლენინი იმ დღეებში მუშათა კლასის ტაქტიკისა და ლიბერალური ბურჟუაზიის ტაქტიკის შესახებ.

მეფის მთავრობა საშინელი სისასტიკით განაგრძობდა მუშათა და გლეხთა დათრგუნვას. მაგრამ მას არ შეეძლო არ დაენახა, რომ მარტო რეპრესიებით შეუძლებელია რევოლუციასთან გამკლავება. ამიტომ რეპრესიებთან ერთად, იგი ადგება გაძრომ-გამოძრომის პოლიტიკას. ერთის მხრივ, თავისი პროვოკატორების საშუალებით იგი რუსეთის ხალხებს ერთი-მეორის წინააღმდეგ ამხედრებს, აწყობს ებრაელთა პოგრომებსა და სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტას. მეორე მხრით, — დაპირებას იძლევა, რომ მოიწვევს „წარმომადგენლობით დაწესებულებას“ საერო კრების ან სახელმწიფო სათათბიროს სახით, და ავალებს მინისტრ ბულიგინს შეიმუშაოს ასეთი სათათბიროს პროექტი, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ სათათბიროს საკანონმდებლო უფლებები არ ჰქონდეს. ყველა ამ ღონისძიებას იმისათვის მიმართავდნენ, რომ გაეთიშათ რევოლუციის ძალები და ჩამოეშორებინათ რევოლუციისაგან ხალხის ზომიერი ფენები.

ბოლშევიკებმა ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადეს, ამასთან მიზნად დაისახეს ჩაეშალათ სახალხო წარმომადგენლობის ეს კარიკატურა.

მენშევიკებმა, პირიქით — გადასწყვიტეს არ ჩაეშალათ სათათბირო და საჭიროდ სცნეს მიეღოთ მასში მონაწილეობა.

3. ტაქტიკური უთანხმოებანი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. პარტიის III ყრილობა. ლენინის წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. მარქსისტული პარტიის ტაქტიკური საფუძვლები.

რევოლუციამ მოძრაობაში მოიყვანა საზოგადოების ყველა კლასი. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში რევოლუციით გამოწვეულმა მობრუნებამ ისინი დასძრა ძველი, შეჩვეული პოზიციებიდან და აიძულა გადაჯგუფებულიყვნენ ახალ ვითარებასთან შეფარდებით. თვითეული კლასი, თვითეული პარტია ცდილობდა გამოემუშავებინა თავისი ტაქტიკა, თავისი მოქმედების ხაზი, თავისი დამოკიდებულება სხვა კლასებისადმი, თავისი დამოკიდებულება მთავრობისადმი. მეფის მთავრობაც კი იძულებული აღმოჩნდა გამოემუშავებინა თავისი, მისთვის უჩვეულო, ახალი ტაქტიკა, „წარმომადგენლობითი დაწესებულების“ — ბულიგინის სათათბიროს მოწვევის და- [illegible] ბელი პრაქტიკული საკითხები, რომლებიც პროლეტარიატის წინაშე წამოიჭრნენ: შეიარაღებული აჯანყების მოწყობისა, მეფის მთავრობის დამხობისა, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისა, ამ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობისა, გლეხობისადმი დამოკიდებულებისა, ლიბერალური ბურჟუაზიისადმი დამოკიდებულებისა და სხვ. საჭირო იყო სოციალ-დემოკრატიის ერთიანი და მოფიქრებული მარქსისტული ტაქტიკის გამომუშავება.

მაგრამ მენშევიკების ოპორტუნიზმისა და გამთიშავი მოქმედების მეოხებით რუსეთის სოციალ-დემოკრატია ამ დროს გათიშული აღმოჩნდა ორ ფრაქციად. გათიშვა ჯერ კიდევ სრულად ვერ ჩაითვლებოდა, და ეს ორი ფრაქცია **ფორმალურად** ჯერ კიდევ არ შეადგენდა ორ სხვადასხვა პარტიას, მაგრამ **საქმით** ისინი ძალიან წააგავდნენ ურთიერთისაგან განსხვავებულ ორ პარტიას, რომელთაც აქვთ თავისი საკუთარი ცენტრები, თავისი საკუთარი გაზეთები.

გათიშვის გაღრმავებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მენშევიკებმა თავის ძველ უთანხმოებებს პარტიის უმრავლესობასთან **ორგანიზაციულ** საკითხებზე დაუმატეს ახალი უთანხმოებანი, — უთანხმოებანი **ტაქტიკურ** საკითხებზე.

ერთიანი პარტიის არარსებობას მოჰყვა ერთიანი პარტიული ტაქტიკის უქონლობა.

შეიძლებოდა მდგომარეობიდან გამოსავალი გვეპოვა, თუ დაუყოვნებლივ მოვიწვევდით პარტიის მორიგ III ყრილობას, დავადგენდით ყრილობაზე ერთიან ტაქტიკას და დავავალებდით უმცირესობას პატიოსნად გაეტარებინა ცხოვრებაში ყრილობის გადაწყვეტილებანი, დამორჩილებოდა ყრილობის უმრავლესობის გადაწყვეტილებებს. სწორედ ამ გამოსავალზე მიუთითებდნენ ბოლშევიკები მენშევიკებს. მაგრამ მენშევიკებს III ყრილობის გაგონებაც კი არ უნდოდათ. ბოლშევიკები კი დანაშაულობად სთვლიდნენ კვლავ დაეტოვებინათ პარტია ისეთი ტაქტიკის უქონლად, რომელიც პარტიის მიერ მოწონებული და პარტიის ყველა წევრისათვის სავალდებულო იქნებოდა, და მათ გადასწყვიტეს თვითონ ეკისრათ III ყრილობის მოწვევის ინიციატივა.

[illegible] ეწვიათ. თავის ყრილობას მათ კონფერენცია უწოდეს, რადგან მათ ცოტა დელეგატები აღმოაჩნდათ, მაგრამ ნამდვილად კი ეს იყო ყრილობა, მენშევიკების პარტიული ყრილობა, რომლის გადაწყვეტილებანი ყველა მენშევიკისათვის სავალდებულოდ ითვლებოდა.

1905 წლის აპრილში ლონდონში მოწვეულ იქნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის III ყრილობა. ყრილობაზე თავი მოიყარა 24 დელეგატმა 20 ბოლშევიკური კომიტეტისაგან. წარმოდგენილი იყო პარტიის ყველა დიდი ორგანიზაცია.

ყრილობამ დაჰგმო მენშევიკები, როგორც „პარტიის გამოთიშული ნაწილი“, და გადავიდა მორიგ საკითხებზე პარტიის ტაქტიკის გამოსამუშავებლად.

ყრილობის ერთდროულად ჟენევაში შეიკრიბა მენშევიკების კონფერენცია.

„ორი ყრილობა — ორი პარტია“, — ასე განსაზღვრა მდგომარეობა ლენინმა.

ყრილობაც და კონფერენციაც არსებითად ერთსა და იმავე ტაქტიკურ საკითხებს იხილავდნენ, მაგრამ ამ საკითხებზე პირდაპირ საწინააღმდეგო ხასიათის გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. ყრილობაზე და კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციების ორმა სხვადასხვა წყებამ გამოააშკარავა პარტიის III ყრილობასა და მენშევიკების კონფერენციას შორის, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებულ ტაქტიკურ უთანხმოებათა მთელი სიღრმე.

აი ამ უთანხმოებათა ძირითადი პუნქტები.

პარტიის III ყრილობის ტაქტიკური ხაზი. ყრილობა სთვლიდა, რომ მიმდინარე რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ ეს რევოლუცია მოცემულ მომენტში ვერ გასცილდება კაპიტალიზმის დროს დასაშვებ ფარგლებს, — მისი სრული გამარჯვებით დაინტერესებულია უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატი, ვინაიდან ამ რევოლუციის გამარჯვება პროლეტარიატს შესაძლებლობას მისცემდა დარაზმულიყო, ამაღლებულიყო პოლიტიკურად, შეეძინა მშრომელი მასების მიმართ პოლიტიკური ხელმძღვანელობის გამოცდილება და ჩვევები და გადასულიყო ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე.

[illegible] მოიშოროს მემამულეები და მიიღოს მემამულეთა მიწა რევოლუციის სრული გამარჯვების მიუღწევლად. ამიტომ, გლეხობა პროლეტარიატის ბუნებრივი მოკავშირეა.

ლიბერალური ბურჟუაზია დაინტერესებული არ არის ამ რევოლუციის სრული გამარჯვებით, რადგან მას სჭირდება მეფის ხელისუფლება, როგორც მათრახი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, რომლებისა მას ყველაზე უფრო ეშინია, და იგი შეეცდება შეინარჩუნოს მეფის ხელისუფლება, რამდენადმე შეზღუდავს რა მას უფლებებში. ამიტომ ბურჟუაზია შეეცდება საქმე გაათავოს მეფესთან მორიგებით კონსტიტუციური მონარქიის ბაზაზე.

რევოლუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ მას სათავეში ჩაუდგება პროლეტარიატი, თუ პროლეტარიატი, როგორც რევოლუციის ბელადი, შესძლებს უზრუნველჰყოს კავშირი გლეხობასთან, თუ ლიბერალური ბურჟუაზია იზოლირებული იქნება, თუ სოციალ-დემოკრატია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ცარიზმის წინააღმდეგ სახალხო აჯანყების მოწყობის საქმეში, თუ ძლევამოსილი აჯანყების შედეგად შეიქმნება ისეთი დროებითი რევოლუციური მთავრობა, რომელიც შესძლებს აღმოფხვრას კონტრრევოლუციის ფესვები, და მოიწვიოს საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრება, თუ სოციალ-დემოკრატია უარს არ იტყვის ხელსაყრელ პირობებში მონაწილეობა მიიღოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, რათა რევოლუცია ბოლომდე მიიყვანოს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ ბოლშევიზმის ისტორია

ყველა კომუნისტს და უპარტიოს შევასწავლოთ ეს სახელმძღვანელო

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, რომელიც დამუშავებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის მიერ, პირადად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, უდიდეს სამსახურს გაუწევს თვითეულ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვანი ისტორიის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლაში, ბოლშევიზმის წარმატებით დაუფლებაში.

პარტისტორიის ახალი სახელმძღვანელოს საშუალებით თვითეული მშრომელი უფრო ზუსტად და ღრმად გაიცნობს და შეისწავლის იმ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდნენ პროლეტარიატის გენიალური ბელადები ლენინი და სტალინი ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

წინათ არსებული ძველი სახელმძღვანელოები ვერ იძლეოდნენ ამომწურავ მარქსისტულ ანალიზს ჩვენი პარტიის სახელოვანი ბრძოლის ისტორიისას. ეს არადამაკმაყოფილებელი სახელმძღვანელოები ჩვეულებრივ გამოიყურებოდნენ „არა როგორც ისტორია, არამედ როგორც მსუბუქი და გაუგებარი თხრობა წარსულ საქმეთა შესახებ“ (სტალინი).

პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასმულია მეტად სერიოზული ამოცანა — ლენინ-სტალინის პარტიის გმირული ისტორიის შესწავლის საქმე დააყენონ ბოლშევიკურ რელსებზე. წისქვილკომბინატის პარტკომი ყოველდღიურად მუშაობდა იმისათვის, რომ პარტისტორიის წრეების მუშაობა სანიმუშოდ მოეწყო, მაგრამ პარტისტორიის შემსწავლელი ჩვენი წრეების მუშაობას დღემდე ბევრი ნაკლოვანება ახასიათებდა. პარტისტორიის სწავლება შემოიფარგლებოდა მხოლოდ იაროსლავსკის სახელმძღვანელოთი, ხოლო ნაკლებად ვეცნობოდით ლენინისა და სტალინის შრომებს. თვით ჩვენი პარტკაბინეტის მუშაობაც მოისუსტებდა. საკმაო რაოდენობით არ გვქონდა მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურა. ყველა ეს გარემოება დიდად აფერხებდა კომუნისტების ბრძოლას ბოლშევიზმის დაუფლებისათვის.

12 სექტემბერს პარტწევრ კანდიდატებთან მოწვეულ თათბირზე წავიკითხეთ პარტისტორიის ახალი სახელმძღვანელოს პირველი თავი — „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჩამოყალიბებისათვის რუსეთში“. 14 სექტემბერს ჩავატარეთ პარტიული კრება, რომელზედაც დავსახეთ ღონისძიებები, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ პარტისტორიის სწავლება ახალი სახელმძღვანელოს მიხედვით. განზრახული გვაქვს პარტისტორიის შემსწავლელ წრეებში პარტისტორიის მოკლე კურსის მიხედვით მუშაობა დავიწყოთ 21 სექტემბრიდან.

წისქვილკომბინატის პარტიული და არა პარტიული ბოლშევიკები არ დავზოგავთ ენერგიას იმისათვის, რომ ღრმად შევისწავლოთ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წარმტაცი ისტორია.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსის შესწავლის უზრუნველყოფა — ყველა პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ყველა კომუნისტს უნდა გავაცნოთ ეს შესანიშნავი წიგნი და დავიწყოთ მისი სერიოზულად, ყურადღებით, ღრმად შესწავლა“ (პრავდა).

დ. ლევინი

ნავთლუღის წისქვილკომბინატის პარტკომის მდივანი.



მოვაწყოთ პარტიის ისტორიის მოკლე კურსის ღრმად შესწავლა

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში ფართოდ გაიშალა „პრავდის“ იმ მოწინავეთა განხილვა, სადაც ლაპარაკია ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიის შესწავლის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მიხედვით.

ერთეულში, სადაც კომისრად ამხანაგი ლაბაძე არის, „პრავდის“ 9 სექტემბრის მოწინავე რადიოთი გადასცეს ყველა წითელარმიულ ქვედანაყოფს.

13 სექტემბერს საღამოს „პრავდის“ მოწინავე განხილულ იქნა პარტიულ-კომკავშირული აქტივის კრებაზე. აქტივის კრებაზე გამოვიდა ამხ. პოჩკოვი, რომელმაც განაცხადა:

— საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ახალი სახელმძღვანელო სამაგიდო წიგნი უნდა გახდეს თვითეული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი დაგვეხმარება იმაში, რომ უფრო ავამაღლოთ პარტიული კადრების იდეური წრთობა.

პარტიულ-კომკავშირული აქტივის კრების შემდეგ მებრძოლებთან ჩატარებულ იქნა პოლიტინფორმაცია.

პარტიულმა აქტივმა გამოიტანა გადაწყვეტილება — დაჩქარებით შეუდგნენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლას.

საოლქო პარტიული კურსების მსმენელებმა, ემზადებოდნენ რა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისათვის, შეისწავლეს ამხანაგ სტალინის წერილი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სახელმძღვანელოს შემდგენელთადმი. 13 სექტემბერს პარტიული ბიუროს მდივანმა ამხ. მოროზოვმა ჩაატარა პარტორგებისა და ჯგუფორგების თათბირი. თათბირმა გამოიტანა გადაწყვეტილება: მობილიზებულ იქნას ყველა მსმენელის ყურადღება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისადმი.

14 სექტემბერს კურსების პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე სპეციალურად იქნება დამუშავებული საკითხი, თუ როგორ დაიწყონ უკეთ და დაჩქარებით საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს შესწავლა. (საქდესი).

მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი ისტორიული დოკუმენტი

მას შემდეგ, რაც გაზეთებში დაიწყო „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოქვეყნება, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ყველა საამქროში განსაკუთრებული ინტერესით ტარდება საგიტაციო საუბრები. მუშები მთელი გულისყურით უსმენენ აგიტატორებს, რომლებიც გატაცებით უკითხავენ მათ ამ შესანიშნავ დოკუმენტს.

დასვენების დროს, თუ სამუშაოს დამთავრების შემდეგ მუშები გაცხოველებით საუბრობენ პარტიის ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს შესახებ და გამოსთქვამენ უდიდეს სიხარულს მისი გამოსვლის გამო. ამ შესანიშნავი სახელმძღვანელოს გამოშვებით განსაკუთრებით აღტაცებული არიან პარტიის ისტორიის წრის პროპაგანდისტები. ამასწინათ ფაბრიკაში ჩატარებულ პროპაგანდისტთა, აგიტატორთა და პარტიულ აქტივისტთა თათბირზე პროპაგანდისტებმა გამოსთქვეს თავიანთი სიხარული საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოშვების გამო.

— პარტიის ისტორიის ახალი სახელმძღვანელო, — ამბობდნენ ისინი, — ჩვენ ახალ ენერგიას და ძალას გვმატებს ბოლშევიზმის დაუფლებისათვის ბრძოლაში.

აქამდე პარტისტორიის შესწავლის საქმეს აფერხებდა სტაბილური სახელმძღვანელოების უქონლობა, პროპაგანდისტებს უხდებოდათ მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის წინანდელი, არადამაკმაყოფილებელი სახელმძღვანელოებით, რომლებიც, როგორც ამხანაგი **სტალინი** ამბობს, გამოიყურებოდნენ „არა როგორც ისტორია, არამედ როგორც მსუბუქი და გაუგებარი თხრობა წარსულ საქმეთა შესახებ“.

ნაკლოვანებანი, რომელიც ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი ისტორიის შესწავლის საქმეში გვქონდა და ნაწილობრივ ახლაც გვაქვს, ახალი სახელმძღვანელოს გამოყენებით გამოსწორებული იქნება.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სერიოზულად, ყურადღებით და გულდასმით შესწავლით გამოვზრდით პარტმუშაკთა ახალ კადრებს. ფაბრიკაში ამჟამად პარტგანათლების 13 წრე მუშაობს, რომლებშიაც გაერთიანებულია 147 კომუნისტი, 102 თანამგრძნობი და 5 უპარტიო. პარტგანათლების წრეების პროპაგანდისტებად ჩვენ უმთავრესად გამოყენებული გვყავს ადგილობრივი კადრები. ისინი ახლად დაწინაურებული პარტიული მუშაკები არიან და ყველაზე მეტად მათ გაუადვილებს მუშაობას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ახალი სახელმძღვანელო.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოქვეყნება ყველა შესაძლებლობას გვაძლევს წარმატებით მოვაწყოთ ბოლშევიზმის დაუფლების საქმე, ავამაღლოთ პოლიტიკური სიფხიზლე, ბოლშევიკური ტრადიციების სულისკვეთებით აღვზარდოთ პარტიული და უპარტიო მასები.

ელენე ძნელაძე

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტკომის მდივანი.

ბოლშევიკური ზრუნვა და ყურადღება თანამგრძნობებს

უპარტიო აქტივთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებით საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიონში შემავალმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა მიმდინარე წელს ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს თანამგრძნობთა ჯგუფების ზრდის საქმეში. ამჟამად სტალინის რაიონში 1.188 თანამგრძნობია, მათ შორის 347 ქალი. მიმდინარე წლის აგვისტომდე თანამგრძნობთა ჯგუფში მიღებულ იქნა 416 კაცი.

თანამგრძნობთა ჯგუფებში დიდი რაოდენობით შედიან მოწინავე მუშები, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, სოციალისტური მეურნეობის ნიჭიერი ორგანიზატორები — არაპარტიული ბოლშევიკები.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თანამგრძნობთა ჯგუფებში შესვლას ცდილობდნენ პოლიტიკურად საეჭვო ადამიანებიც, ხალხის მტრების ნაბოლარები. სამწუხაროდ, აქაიქ ისინი კიდევაც ახერხებენ თანამგრძნობთა ჯგუფში შეძვრომას. მაგალითად, მაუდის ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტების ცაგურიშვილისა და კაპანაძის რეკომენდაციით შეუმოწმებლად და შეუსწავლელად თანამგრძნობთა ჯგუფში მიიღო ხალხის მტრების ნაბოლარა, რომელიც თანამგრძნობად მიღების შემდეგ იქნა გამომჟღავნებული. ასევე კომუნისტ სამხარაძის რეკომენდაციით პარტიულმა ორგანიზაციამ თანამგრძნობთა ჯგუფში შეუსწავლელად მიიღო ხალხის მტრების აგენტი, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ შინსახკომის ორგანოების მიერ იქნა დაპატიმრებული.

თანამგრძნობთა ჯგუფში უცხო ადამიანების მიღება შეიძლება მხოლოდ იმით ავხსნათ, რომ ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია არ იჩენს გულისხმიერებას და ბოლშევიკურ სიფხიზლეს ამ საქმისადმი. ავიღოთ ისეთი უბრალო საქმე, როგორიც არის თანამგრძნობთა აღრიცხვა. კალინინის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციაში უკანასკნელ დრომდე მოუგვარებელი ჰქონდათ ელემენტარული წესი — თანამგრძნობთა აღრიცხვა. თანამგრძნობთა აღზრდის საქმეში აქ ყველაფერი თავის რიგზე არ იყო. პარტკომის მდივანმა არ იცოდა, რომელ თანამგრძნობს რა დავალება ჰქონდა მიცემული, აგრეთვე არ იცოდა, როგორ მუშაობენ თანამგრძნობები წარმოებაში და როგორ ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

უყურადღებოდ იყო მიტოვებული თანამგრძნობთა აღზრდის საქმე თბილისის კაფე-რესტორანების ტრესტის, ლიმონათის და სპილენძის სატკეცი ქარხნის პარტორგანიზაციებში. თანამგრძნობები ჩაბმული არ იყვნენ პრაქტიკულ მუშაობაში, პოლიტწრეებშიაც კი არ დადიოდნენ.

ქალაქის საფთიაქო სამმართველოში 28 თანამგრძნობიდან მხოლოდ 14-ს მიამაგრეს მომზადებული კომუნისტები, დანარჩენები პარტკომს ყურადღებიდან გამორჩა. შემოწმების დროს გამოირკვა, რომ საფთიაქო სამმართველოს პარტკომის მდივანი ამხ. ცინცაძე სუსტად მუშაობდა თანამგრძნობთა ბოლშევიკურად აღზრდისათვის. აქ პარტკომი არ ასრულებდა იმას, რაც ძირითადია თანამგრძნობთა აღზრდის საქმეში. თანამგრძნობებს წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ პარტიის წესდებასა და პროგრამაზე, ჩვენი პარტიის აგების უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ პრინციპებზე, პარტიის გადაწყვეტილებებზე. ამისათვის საჭირო იყო პარტკომის მდივანს თავის დროზე მოეწყო პარტიის წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი წრე, ჩაეტარებინა საუბრები თანამგრძნობებთან პარტიის პოლიტიკის საკითხებზე, მიემაგრებინა თანამგრძნობებზე მცოდნე, საქმის მოყვარული პროპაგანდისტი, რომელიც აამაღლებდა მათ იდეურ დონეს.

თანამგრძნობთა აღზრდის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ლიმონათის ქარხანაში. აქ პარტკომის მდივანი ამხ. არუთინოვა გულისხმიერად ეკიდება თანამგრძნობთა აღზრდას. სისტემატურად იწვევს მათ თათბირებს, ესაუბრება მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, ყველა თანამგრძნობს მიცემული აქვს პარტიული და საზოგადოებრივი დატვირთვა. პარტკომის მდივანი ყოველთვის ამოწმებს მიცემულ დავალებათა შესრულებას და ხშირად თვითონაც ეხმარება თანამგრძნობებს დავალებების წარმატებით შესრულებაში, რითაც ზრდის მათში პასუხისმგებლობის გრძნობას, აჩვევს მათ პარტიულ დისციპლინას. უნდა ითქვას, რომ აქ თანამგრძნობები სასახელოდ მუშაობენ. თვითეული მათგანი საწარმოო გეგმას 200-250 პროცენტით ასრულებს.

თანამგრძნობთა მიღებას პარტიაში ჩვენი რაიონის პირველადი პარტორგანიზაციები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან. პარტიაში მიღების განახლებიდან მიმდინარე წლის აგვისტომდე სტალინის რაიონში პარტიაში მიღებულია 326 თანამგრძნობი; მათ შორის 97 ქალია. რა თქმა უნდა, ეს მაჩვენებლები არ არის საუკეთესო. ცხადია, რაიკომის მხრით საჭიროა კიდევ მეტი მუშაობა პარტიაში მოწინავე ადამიანთა მიღების საქმის გასაუმჯობესებლად.

რაიონულმა კომიტეტმა თანამგრძნობთა ახლახან ჩატარებული რაიონული თათბირის მასალების მიხედვით გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი თანამგრძნობთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. რაიკომის ხელმძღვანელობით პირველადი პარტორგანიზაციები ამჟამად წარმატებით იბრძვიან პარტიის ახლობელ ადამიანთა — თანამგრძნობთა ბოლშევიკურად აღზრდისა და მათი მომზადებისათვის პარტიის რიგებში შესასვლელად.

თანამგრძნობთა ბოლშევიკური აღზრდის საქმეში ჩვენ ფართოდ გამოვიყენებთ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს, რომელშიაც მთელი სიღრმით არის აღბეჭდილი ლენინ-სტალინის პარტიის ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი ისტორია.

ალ. კვაჭაძე

საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი

ვ. ისტომინი

საერთაშორისო მიმოხილვა

ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მდგომარეობა სულ უფრო-და-უფრო სახიფათო ხდება. ომის საფრთხე რეალურად ემუქრება ევროპას. ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე ვითარება ახლა გაცილებით უფრო დაძაბულია, ვიდრე მაისის დღეებში, როდესაც „მესამე იმპერია“ ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმას ამზადებდა.

თითქმის ერთი თვეა, რაც დაიწყო გერმანიის არმიის გრანდიოზული მასშტაბის მანევრები, რომლებშიც 1.500 ათასზე მეტი კაცი იღებს მონაწილეობას. საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვრებზე მთელი დღე-ღამის განმავლობაში გაფთრებული ტემპებით სწარმოებს სულ ახალ-ახალი სიმაგრეების აგება.

გერმანიის აშკარა, გაშლილმა მზადებამ ომისათვის აიძულა საფრანგეთი, რომლის, როგორც ჩეხოსლოვაკიის მოკავშირის, უშიშროებას პირდაპირ საფრთხე ემუქრება, მიეღო სიფრთხილის ერთგვარი ზომები, რასაც როგორც ინგლისის პრესა თავშეკავებულად იუწყებოდა, მოწონებით შეხვდნენ ლონდონში.

მაგრამ ამ უხმო მოწონებას ლონდონში ვერ სცილდებიან, თუმცა პოლიტიკური დაძაბულობა ინგლისში დღითიდღე ძლიერდება. ლონდონის ბირჟა მკვეთრად ეხმაურება ცენტრალურ ევროპაში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებას. გირვანქა სტერლინგის კურსი ეცემა. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი აშკარად შეშფოთებულია საგარეო პოლიტიკური რყევებით, რომლებსაც შეუძლიათ უახლოეს დროში გააჩაღონ ომი, რომელსაც საეჭვოა, რომ ინგლისი განზე გაუდგეს. განსაკუთრებულ შეშფოთებას იჩენენ ოპოზიციის ბანაკში და კონსერვატორთა ყველაზე შორსმჭვრეტელი წრეები, რომლებსაც ჩერჩილი და იდენი მეთაურობენ, და რომლებსაც სერიოზულად აშინებთ ბრიტანეთის იმ პოლიტიკის სავსებით გაკოტრება ცენტრალურ ევროპაში, რასაც ინგლისის ახლანდელი პრემიერი ჩემბერლენი ატარებს.

მაგრამ საზოგადოებრივ განწყობილებაში მომხდარი უდიდესი ძვრები და ლონდონის სიტის შეშფოთება ჯერჯერობით ვერ ჰპოულობს გამოხატულებას ინგლისის მთავრობის ოფიციალურ პოლიტიკაში, იმ მთავრობისა, რომელმაც თავიდანვე აიღო კურსი იმისაკენ, რათა დასდოს გარიგება აგრესორთან მესამე ქვეყნების ხარჯზე.

ავსტრიის დაცემის შემდეგ რიგი მაშინვე მიდგა ჩეხოსლოვაკიაზე. იმის შიშით, რომ ჩეხოსლოვაკიასთან სამხედრო თავდაცვითი ხელშეკრულებით დაკავშირებული საფრანგეთი დაეხმარება თავის პარტნიორს, რომლის არსებობასაც საფრთხე ემუქრება, ხოლო მაშინ ინგლისიც ვერ გაუდგება განზე შეიარაღებულ კონფლიქტს, ინგლისის მთავრობამ დაიწყო „შუამავლობა“. მაგრამ „შუამავლობა“ ცალმხრივი გამოდგა. ინგლისის მთავრობა, რომელიც შეუპოვრობას იჩენს თავის „თანამიმდევრობაში“, დაადგა ჩეხოსლოვაკიის ხარჯზე ფაშისტურ გერმანიასთან სწრაფი შეთანხმების გზას. რენსიმენის მისიის საქმიანობამ საკმაოდ ნათლად დაგვანახვა, თუ ვის ხარჯზე ხორციელდება ბრიტანეთის „შუამავლობა“. დაიწყო სისტემატური ზეგავლენის მოხდენა პრაღაზე იმ მიზნით, რათა აიძულონ იგი მოახდინოს კაპიტულაცია ბერლინის წინაშე. ინგლისის პოლიტიკის ხელმძღვანელი ცალი ხელით უკანა პლანზე აყენებდა საფრანგეთს და მოითხოვდა მჭიდრო თანამშრომლობას ჩეხოსლოვაკიის „დამშვიდების“ მიზნით, ხოლო მეორე ხელს მაგიდაზე ურტყამდა პრაღაში და აიძულებდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას სულ ახალ-ახალ დათმობებზე წასულიყო ბერლინის კარნახით მომქმედ ჰენლაინელთა თავხედური მოთხოვნების წინაშე.

იმის გამო, რომ ინგლისის პატივცემული პრემიერის არცერთ ხელს არ ეცალა, გერმანიას წილად ხვდა თავი, რომელიც დაბლა იხრებოდა ბერლინში და მლიქვნელურად ადევნებდა თვალს „ფიურერის“ განწყობილებას. ჰიტლერის სახეზე აღბეჭდილი უკმაყოფილების ოდნავი ნიშანიც კი იწვევდა გაძლიერებულ ზეგავლენას პრაღაზე ახალი დათმობების მოთხოვნით და რენსიმენის გამალებულ მუშაობას, რომელიც თავქუდმოგლეჯილი იწყებდა სუდეტის პრობლემის მოწესრიგების ახალი გეგმების „შემუშავებას“. ასე, თანმიმდევრობით, ერთი-მეორეზე იშვა „4 გეგმა“. ამასთანავე უკანასკნელი მეოთხე გეგმა თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს კარლსბადის ყბადაღებული პროგრამის „8 ცნობილ პუნქტს“ და მასთან ერთად წარმოადგენს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი გახრწნის დასაწყისს.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ნასუფრალი და გამომძალველთა წინაშე დათმობანი ვერასოდეს ვერ აღწევენ მიზანს, არამედ, პირიქით, აღიდებენ მოთხოვნებს. ამ შემთხვევაშიც ასე ხდება. რამდენ მეტ დათმობებზედაც მიდის ჩეხოსლოვაკიის მთავრობა, ჰენლაინელები სულ უფრო-და-უფრო თავხედი ხდებიან. რენსიმენის უკვე მეოთხე გეგმის შემდეგ ჰენლაინელთა ბელადებმა ცინიკური გულახდილობით აუწყეს მთელ მსოფლიოს, რომ „კარლსბადის“ მოთხოვნები — ეს მხოლოდ მინიმუმია, სუდეტელ გერმანელთა მხოლოდ „კანონიერი“ მოთხოვნების შესავალი ნაწილია.

თუმცა, რენსიმენის მეოთხე გეგმის პასუხი იყო მორავიის ოსტრავასა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში მომხდარი შეტაკება, პროვოკაციულად გამოწვეული ჰენლაინელთა მიერ, რომელთაც რამდენიმე დღით შეწყვიტეს მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან და უაღრესად თავხედური განცხადებით გამოვიდნენ.

თითქოს უკანასკნელი გეგმით, რომელიც შემუშავებული იყო ინგლისის მრჩეველის რჩევითა და უახლოესი მონაწილეობით, მიღწეულ იქნა დათმობათა საზღვარი. სრულიადაც არა, პირიქით. გაითვალისწინა რა ჰიტლერის უზომო მადა, გაზეთმა „ტაიმსმა“, რომელიც სრულად ასახავდა ინგლისის მთავრობის შეხედულებებს და კერძოდ ჩემბერლენის საგარეო პოლიტიკურ მისწრაფებებს, აშკარად განაცხადა ამას წინათ, რომ „ჩეხოსლოვაკიის უფრო კომპაქტურ და შინაგანად მთლიან სახელმწიფოდ გადაქცევისათვის“ უკეთესი იქნებოდა უბრალოდ გადასცემოდა სუდეტის ოლქი გერმანიას.

მართალია, „ტაიმსი“ უკვე მეორე დღესვე შეეცადა „გამოესწორებინა“ შეცდომა, მაგრამ, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ეს იყო „ნიღაბის მოხსნა“, ცდა იმისა, რომ ჩეხოსლოვაკიის მიმართ შემდგომი ღალატისათვის მოემზადებინა შეშფოთებული საზოგადოებრივი აზრი. „ტაიმსის“ ეს გამოთქმები გაგრძელებაა ჩემბერლენის ხაზისა, რომელიც მან აიღო ინგლის-საფრანგეთის მინისტრთა თათბირზე, ლონდონში მიმდინარე წლის აპრილს, როდესაც ინგლისის პრემიერი იდეოლოგიურად ამუშავებდა თავის პარტნიორებს და გაძლიერებით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჩეხოსლოვაკია მისი დღევანდელი სახით „ხელოვნური სახელმწიფოა“. სწორედ ამიტომ „ტაიმსის“ ახლანდელი გამოთქმები, რომლებიც ინგლისის მთელმა დანარჩენმა პრესამ დაჰგმო, ინგლისის დიპლომატიის განსაკუთრებულ მორიგ მანევრს წარმოადგენს, რასაც მიზნად აქვს დასახული გასწმინდოს გზა ჩეხოსლოვაკიის დანაწილებისათვის.

მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მთელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იარაღით ხელში დაიცვას თავისი რესპუბლიკის მთლიანობა და დამოუკიდებლობა. გულგრილად, მშვიდად, მომენტის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ემზადება ჩეხოსლოვაკიის გმირი ხალხი გარეშე იერიშების მოსაგერიებლად. ტყუილ-უბრალოდ როდი განაცხადა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გოტვალდმა პრაღაში კრებაზე გამოსვლის დროს, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სასიცოცხლო საკითხები სწყდება არა ლონდონსა და ბერლინში, არამედ თვით ჩეხოსლოვაკიის ხალხის მიერ.

და თუ ახლა, სუდეტის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების მთელი შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ, ჩეხოსლოვაკიის მთავრობა მტკიცედ და გადაჭრით განაცხადებს, რომ დათმობათა საზღვარი უკვე მიღწეულია და მას არ შეუძლია უფრო შორს წავიდეს, მაშინ როგორი იქნება ბრიტანეთის მთავრობის ხაზი?

აგრესორის ნებაზე მიშვების პოლიტიკამ ის გამოიწვია, რომ ფაშისტურ გერმანიას მზადა ჰყავს მილიონნახევრიანი არმია და მხოლოდ იმის საბაბს ეძებს, რომ საომარი თავდასხმით გადასჭრას „სუდეტის პრობლემა“.

ამავე დროს ძლიერდება ჰენლაინელთა პროვოკაციები, რაც, ალბათ სუდეტელ გერმანელთა პრობლემის გადაჭრის ეგრეთწოდებული „ესპანური ვარიანტის“ მომზადებას წარმოადგენს, რადგან, უბრალოდ რომ ვთქვათ, ჰენლაინელები თავხედურად ცდილობენ მოაწყონ ჩეხოსლოვაკიის შიგნით შეიარაღებული აჯანყება ფაშისტური გერმანიის დახმარებით.

მოვლენათა მსვლელობა გვიჩვენებს, რომ წაქეზებისა და აგრესორთან შეთანხმების პოლიტიკა საბოლოო შედეგად, თუ სრულიად უახლოეს დროში არ მოხდება სერიოზული ცვლილებები ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში ჩეხოსლოვაკიის ღალატით უნდა დამთავრდეს. მაგრამ ეს სრულიადაც არ იქნება ფაშიზმის გამარჯვების მომასწავებელი. დემოკრატიული ჩეხოსლოვაკია მზად არის თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად ბრძოლისათვის. პრეზიდენტი ბენეშის სიტყვამ, რომელიც მიმართული იყო ჩეხოსლოვაკიის ყველა ხალხისადმი, დაგვანახვა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხს სრულიადაც არ სურს ნებაყოფლობით ჩავარდეს ფაშიზმის მგლურ ხახაში. პირიქით, პრეზიდენტმა ბენეშმა, მოუწოდებდა რა ხალხს სიმშვიდისა და სიდინჯისაკენ, გამოსთქვა რწმენა, რომ ძალასა და სიმტკიცეს, ბრძოლის უნარიანობასა და ჩეხოსლოვაკიის საუცხოო არმიას შეუძლიათ ღირსეულად დაიცვან რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და მთლიანობა. ბენეშის სიტყვა ჩეხოსლოვაკიის ხალხისათვის გაისმა როგორც მოწოდება ერთიანობისაკენ, სიდინჯისა და სიმშვიდისაკენ. კვლავ მოედო მთელს სახელმწიფოს დემონსტრაციების ტალღები. ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ერთსულოვნად მოითხოვენ დათმობათა პოლიტიკის შეწყვეტას და გამოსთქვამენ მზადყოფნას არმიასთან ერთად დაიცვან რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

მძვინვარე ფაშისტური ინტერვენციის თარეში ესპანეთში თანდათან უფრო ფართო ხასიათს იღებს. ფაშისტური იტალია, გერმანიასთან ერთად, სერიოზულად არის შეწუხებული უკანასკნელი სამხედრო დამარცხებებით; ისინი განაგრძობენ სულ ახალ-ახალი მაშველი ჯარების და სამხედრო საჭურვლის გზავნას გენერალ ფრანკოსათვის. ყველაფერი ეს აშკარად ხდება ისე, რომ ისინი არც კი ცდილობენ ოდნავ მაინც შენიღბონ დახმარების აღმოჩენა. პირიქით, იტალიის პრესა იკვეხის საგმირო საქმეებს იტალიელთა ავიაციისას, რომელიც „სიმამაცის სასწაულებს“ ახდენს ესპანეთის დაუცველ ქალაქთა მშვიდობიან მოსახლეობაზე მხეცური თავდასხმის დროს.

ამავე დროს, „ჩაურევლობის“ გამცემლური პოლიტიკის გამო, რესპუბლიკური ესპანეთი მოკლებულია საშუალებას შეიძინოს ინტერვენტებთან ბრძოლისათვის საჭირო იარაღი. ინგლისის მთავრობის ზეგავლენით საფრანგეთმა მაგრად დახურა თავისი საზღვარი. მაგრამ მუსოლინი გაკოტრდა. ესპანეთის გმირი ხალხი მამაცობის სასწაულს გვიჩვენებს. რესპუბლიკური ესპანეთი თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა. რესპუბლიკელებმა ბრწყინვალედ გადალახეს მდინარე ებრო და სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ამ უბანზე. ამნაირად, აგრესორებისადმი ესპანეთის რესპუბლიკის შეუპოვარმა წინააღმდეგობამ კვლავ აურდაურია პარტნიორების ყველა გეგმა ინგლის-იტალიის შეთანხმების დარგში. ინგლისის წრეები, რომლებიც ესპანეთის საკითხში ფაშისტურ იტალიასთან შეთანხმების პოლიტიკას ატარებენ, რაც ჩაურევლობის სამარცხვინო კომედიაში ჰპოვებს თავის გამოხატულებას, მთლიანად იღებენ ორიენტაციას ფრანკოს გამარჯვებაზე. სწორედ ამით აიხსნება ის ფინანსიური დახმარება, რომელსაც უწევს ლონდონის სიტი გენერალ ფრანკოს ბრიტანეთის პოლიტიკის ხელმძღვანელთა ჩუმი თანხმობით, მაგრამ ფრანკოს გამარჯვება არსად ჩანს, და სცენაზე კვლავ ჩნდება ჩაურევლობის კომიტეტის თავმჯდომარე ლორდი პლიმუტი. ცნობილია, რომ ეგრეთწოდებული „ვოლონტერების“ ევაკუაციის ინგლისური გეგმა უტიფრად უარჰყო გენერალმა ფრანკომ, თუმცა „პრინციპულად“ მან თანხმობა განაცხადა „ვოლონტერების ევაკუაციაზე“. ესპანეთის მთავრობამ მალე მიიღო წარდგენილი გეგმა და იმავე დროს მიუთითა ზოგიერთი მისი დებულების უსამართლობაზე.

თითქოს ამჟამად კომიტეტის საკმაოდ ენერგიული პოლიტიკის დროს შეიძლებოდა ერთგვარი შედეგების მიღწევა ეგრეთწოდებული „ვოლონტერების“ ევაკუაციის საკითხში. მაგრამ ლორდ პლიმუტი როდი იქნებოდა, რომ დაეშვა საკითხის ისეთი გადაჭრა, რომ იტალიის უკმაყოფილება გამოეწვია.

აგრესორის გულის მოსაგებად სულ ახალ-ახალ დიპლომატიურ ხრიკებს ეძებენ. იმ მემორანდუმში, რომელიც ჩააბარეს სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ლონდონში ამხ. მაისკის, ლორდმა პლიმუტმა განაცხადა, რომ „მოფიქრების“ შედეგად ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა გენერალ ფრანკოს და ესპანეთის მთავრობას კომიტეტის მდივანი გაეგზავნოს პირადი მოლაპარაკებისათვისაო. ამასთან, პლიმუტის პროექტით, კომიტეტი არ უნდა შეიკრიბოს მანამდე, სანამ არ დაამთავრებს მდივანი თავის მოგზაურობას.

სავსებით ცხადია, რომ მთელი პროცედურა სპეციალურად იმისათვის არის მოფიქრებული, რომ რესპუბლიკური ესპანეთის საზღვარი დახურული დასტოვონ, კიდევ უფრო აურდაურიონ საკითხი და ხელი შეუშალონ ინტერვენტთა ჯარის ნამდვილ გაწვევას ესპანეთიდან. არავისათვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ მეამბოხეთა მიერ დაკავებული პოზიციის შემდეგ ყოველივე ცდა — გაგრძელებულ იქნას მუშაობა ამ გეგმაზე — მეამბოხეთათვის მხოლოდ ახალ დათმობათა მომასწავებელი იქნებოდა ფაქტიურად. აი რად გამოდიოდა საბჭოთა მთავრობა კომიტეტის მდივნის გაგზავნის წინააღმდეგ, და სრულიად სამართლიანად სთვლიდა ასეთ გამგზავრებას არა მარტო ყოვლად უსარგებლოდ, არამედ ისეთადაც, რომელსაც შეუძლია დაამახინჯოს კომიტეტსა და გენერალ ფრანკოს შორის არსებულ ურთიერთობათა ნამდვილი ხასიათი. საბჭოთა მთავრობამ ამავე დროს აღნიშნა, რომ მას არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ორივე მხარის წარმომადგენლები მიწვეულ იქნან ლონდონში კომიტეტთან უშუალო მოლაპარაკებისათვის. საბჭოთა მთავრობის პასუხს ესპანეთის პრესა უყურებს როგორც ესპანეთის რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა დაცვას.

ამ გამოსვლით ერთხელ კიდევ მხილებულ იქნა „ჩაურევლობის“ პოლიტიკის ნამდვილი აზრი და კიდევ ერთი ლახვარი ჩაეცა აგრესორების ნებაზე მიშვებისა და მათი წაქეზების პოლიტიკას, რომელსაც ასე გულმოდგინედ ატარებენ ინგლისის რეაქციულ-კონსერვატიული წრეები ბრიტანეთის დღევანდელი მთავრობის ხელმძღვანელობით.

ჰიტლერის სიტყვის გამო, გამოძახილი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი (საკდესი). „ამერიკის მშვიდობიანობისა და დემოკრატიის ლიგამ" გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ჰიტლერის სიტყვამ კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც დაძაბული მდგომარეობა ევროპაში, იგი წარმოადგენს პირდაპირ მუქარას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისათვის. ეს სიტყვა ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ უნდა გადასინჯონ თავისი საგარეო პოლიტიკა, დაამყარონ სრული თანამშრომლობა სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან და გამოიყენონ ეკონომიური სანქციები გერმანიისა და სხვა აგრესორების წინააღმდეგ. „ამერიკელი ხალხის ინტერესები, ნათქვამია განცხადებაში, მოითხოვენ, რათა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან ერთად მიიღოს გაერთიანებული ღონისძიებანი ფაშისტ აგრესორების ასალაგმავად. ჯერ კიდევ გვიან არ არის მსოფლიო ომის თავიდან აცილება".

„დეილი უორკერი" ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან მოითხოვს, რათა მან გადამწყვეტი გაფრთხილება მისცეს გერმანიას იმის შესახებ, რომ ომი ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ემუქრება ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობიან მოსახლეობას. ასეთი განცხადება, ამბობს გაზეთი, ხელს შეუწყობდა მშვიდობიანობის საქმეს. ჰიტლერის სიტყვა სიგნალს წარმოადგენს მსოფლიო ომის დასაწყებად, თუ მსოფლიოს შეერთებული ძალები დროულად არ შეაჩერებენ გერმანელ ფაშისტებს.

გერმანიის სამხედრო მზადება

ბერლინი, 14 სექტემბერი (საკდესი). ფაშისტთა პრესა, მხარს უჭერს რა ჰენლაინელთა ულტიმატუმს, ყოველმხრივ აზვიადებს მათს პროვოკაციებს, აძლიერებს სამხედრო სულისკვეთებას სახელმწიფოში და ფართო მასები თანდათანობით მიჰყავს იმ მდგომარეობამდე, რომ არ იყოს საგრძნობი მოულოდნელი გადასვლა „მშვიდობიანი" მდგომარეობიდან ომზე. მოსახლეობის მამაკაცთა ნაწილი, და განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მიდის დიდი ქალაქებიდან და საწარმოებიდან დასავლეთ საზღვარზე სამხედრო სიმაგრეთა ასაგებად. მთელს სახელმწიფოში, და განსაკუთრებით დასავლეთ საზღვარზე, განუწყვეტლივ სწარმოებს არმიების მანევრები. გამოცხადებულია, რომ ახლო მომავალში მთელს გერმანიაში ხანგრძლივი ვადის გზნავლობაში იწარმოებს დიდი საჰაერო ქიმიური სწავლება.

ფაშისტთა დღევანდელი პრესა სავსეა ცნობებით ჰენლაინის თავხედური ულტიმატუმის შესახებ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიმართ. პრესა, მხარს უჭერს რა ჰენლაინის ულტიმატუმს, აცხადებს, რომ პრაღასთან სალაპარაკო არაფერია.

გერმანიის ჯარების კონცენტრაცია მოსაზღვრე რაიონებში

ლონდონი, 14 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" დიპლომატიური მიმომხილველი იუწყება, რომ ინგლისისა და საფრანგეთის გენერალური შტაბების განკარგულებაში არსებული ცნობებით, გერმანიის ჯარების კონცენტრაცია და მათი განლაგება ყველა მოსაზღვრე რაიონში დამთავრდება უახლოეს 7-10 დღის განმავლობაში.

სამხედრო მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ხანკოუელი და ლონდონელი კორესპონდენტების ცნობების მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

მდინარე იანძის სამხრეთ ნაპირზე გრძელდება გააფთრებული ბრძოლა ჟუიჩანის სექტორში. იაპონელები აქ დიდ ზარალს განიცდიან. მატოუჯენის სამხრეთ-აღმოსავლეთით იაპონელებმა გადმოსხეს დესანტი, რომელსაც ჩინეთის ჯარმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია. ამ უკანასკნელ ხანებში იაპონელებმა კვლავ დაიწყეს მომწამვლელი გაზების გამოყენება. 12 სექტემბერს იაპონელებმა სამხედრო გემების საარტილერიო ცეცხლის დახმარებით და მომწამვლელი ბოლის საფარით ხუთჯერ მიიტანეს იერიში ჩინელთა პოზიციებზე ნანკანის სექტორში (სინძი). იაპონელთა ძირითად მიზანს შეადგენდა ხელთ ეგდოთ მაღლობი სიკულინი. ამ მაღლობზე თოთხმეტჯერ იქნა მიტანილი იერიში. ჰაერიდან ყუმბარების არაერთხელ დაშვენისა და მომწამვლელი გაზების ფართოდ გამოყენების შემდეგ იაპონელებმა მოახერხეს დაეკავებინათ ეს მაღლობი. ბრძოლაში იაპონელებმა დაჰკარგეს დიდძალი მოკლული და დაჭრილი.

მახულინის სექტორში სიმშვიდე ჩამოვარდა.

მდინარე იანძის ჩრდილოეთ ნაპირზე ცვალებადი წარმატებით გრძელდება ბრძოლა გუანძის რაიონში. 12 სექტემბერს გუანძის დასავლეთით ჩინელებმა გაანადგურეს იაპონელთა რაზმი 400 კაცის შემადგენლობით.

12 სექტემბერს იაპონელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქ სინიანის მჭიდროდ დასახლებულ ნაწილებს (ხანკოუს ჩრდილოეთით). დანგრეულია 350 საცხოვრებელი სახლი. მშვიდობიან მოსახლეობას შორის არიან მოკლულები და დაჭრილები.

ჩრდილოეთ ჩინეთში

12 სექტემბერს იაპონელთა თორმეტმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ჯენ-ჯოუს. ქალაქში ასზე მეტი ყუმბარა ჩამოჰყარეს. განადგურებულია ლტოლვილთა რამდენიმე ბანაკი. ცეცხლგამჩენი ყუმბარებით ქალაქში დიდმა ხანძარმა იფეთქა.

სამხრეთ ჩინეთში

13 სექტემბერს იაპონელთა ოცდაათმა თვითმფრინავმა გუანდუნისა და გუანსის პროვინციებში ყუმბარები დაუშინა მთელ რიგ პუნქტებს, სადაც არ იყო სამხედრო ობიექტები. დაზარალდა მშვიდობიან მცხოვრებთა დიდი რაოდენობა. იმავე დღეს იაპონელთა 9 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა კანტონ-ხანკოუს რკინიგზას.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 13 სექტემბრის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ მეამბოხეთა ნაწილებმა, რომელთაც დახმარებას უწევდა ავიაცია და არტილერიის ინტენსიური ცეცხლი, იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე პარტიდა დე ფანხუნასა და გაეტას მაღლობს შუა. ფაშისტებმა დიდი ზარალით მოახერხეს 441 მაღლობის დაკავება. დანარჩენი პოზიციებიდან ისინი უკუგდებულ იქნენ. რესპუბლიკელთა არტილერიამ ზუსტი სროლით ხელი შეუშალა იტალიელთა 20 ტანკს დაეწყოთ მოქმედება. ფაშისტთა სამი ტანკი გამოყვანილ იქნა მწყობრიდან. რესპუბლიკელთა ავიაგანმანადგურებლებმა მეტად ეფექტიურად დაუშინეს ტყვიამფრქვევები ფაშისტთა პოზიციებს.

ცენტრალური ფრონტი

რესპუბლიკელებმა ნაღმი ააფეთქეს საუნივერსიტეტო ქალაქის ერთერთი შენობის ქვეშ (მადრიდის სექტორი) და დაანგრიეს გალერია, რომელშიც ფაშისტები იყვნენ.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

* * *

13 სექტემბერს, საღამოთი, მაიორკის მხრიდან მოფრენილმა ფაშისტთა ჰიდროთვითმფრინავმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარა ბრენის დე მარში (ბარსელონის ჩრდილო-აღმოსავლეთით). 14 სექტემბერს, დილით, სავოიას ტიპის ხუთმა სამმოტორიანმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა კატალონიის სანაპიროს მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებსა და მათ შორის პალამოსს (ხერონის სამხრეთ-აღმოსავლეთით). არის მსხვერპლი მოქალაქეთა შორის, მეტწილად ქალებსა და ბავშვებს შორის.

იმავე დღეს გერმანიის შვიდმა სამმოტორიანმა „იუნკერსმა" დიდძალი ყუმბარა ჩამოჰყარა ბარსელონის ნავსადგურის რაიონში და მატერიალური ზარალი მიაყენა ამ რაიონს.

რუსთაველის თეატრი მომავალ სეზონში

აკ. ვასაძე

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რუსთაველის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

შემოქმედებითი მუშაობის მაღალი მაჩვენებლებით უპასუხა რუსთაველის თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ საქართველოს სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 13 სექტემბრის ისტორიულ დადგენილებას.

ხელისუფლების, პარტიისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის დახმარებით შეიარაღებული, თეატრის ახალი ხელმძღვანელობა შეუდგა მავნებლობის შედეგთა ლიკვიდაციას. პირველ რიგში მას დიდი ბრძოლა გადახდა იმისათვის, რომ გაენთავისუფლებინა თეატრი ფორმალიზმის ტყვეობიდან. ხელმძღვანელობას კარგად ესმოდა, რომ წარსულში, ზოგიერთი ცალკეული დადგმის გარდა, როგორიცაა „ანზორი" და „ინ ტირანოს", თეატრს სერიოზული ჩავარდნებიც ჰქონდა. თეატრი მხარდამხარ ვერ მისდევდა ჩვენი ეპოქის დიად მოვლენებს და ხშირად დგამდა იდეოლოგიურად გაუმართლებელ პიესებს („მაისტერ", „თეთნულდ", „შლეგი" და სხვ.).

მეორე გადაუდებელი ამოცანა — რეპერტუარის შერჩევაში მდგომარეობდა.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას ინიციატივით საგანგებოდ მოწვეულმა დრამატურგთა თათბირმა უაღრესად დიდი როლი ითამაშა როგორც თეატრის კოლექტივის მუშაობის განვითარებაში, ისე დრამატურგიის გაძლიერებაში. ამ თათბირზე მეტად საყურადღებო საკითხი გადაიჭრა. ეს იყო საკითხი თეატრის ბრიგადული მუშაობისა დრამატურგებთან—ახალი თანამედროვე რეპერტუარის შესაქმნელად. ახალი ღონისძიების შედეგად თეატრმა მიიღო მთელი რიგი თანამედროვე ორიგინალური პიესები, რომელნიც თავისი პოლიტიკური და მხატვრული შინაარსით სწორად ასახავენ ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას წიგნის — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის" — საფუძველზე ცნობილმა დრამატურგმა შალვა დადიანმა შექმნა პიესა „ნაპერწკლიდან".

იშვიათად ხვდომია წილად სხვა რომელიმე პიესას ის აღფრთოვანება, რაც ამხ. დადიანის ამ ნაწარმოებს ხვდა. უაღრესად ამაღელვებელი სახეები პროლეტარიატის გენიალური ბელადებისა, — ლენინისა და სტალინისა, რომლებიც რევოლუციის გარიჟრაჟზე სამოღვაწეოდ გამოვიდნენ, — პირველი, როგორც „მთის არწივი" და მეორე, როგორც „მგზნებარე კოლხიდელი",— ყველას აჯადოებდა. რუსთაველის თეატრმა ეს პირველი საპატიო ცდა ბრწყინვალედ გადასჭრა, რის საბუთსაც გვაძლევს ის გარემოება, რომ 1937 წლის 11 დეკემბრიდან 1938 წლის 11 ივნისამდე 52-ჯერ განმეორდა ეს სპექტაკლი სრული ანშლაგით. პრესამაც დაადასტურა ეს გამარჯვება.

არანაკლებ საყურადღებო იყო ს. კლდიაშვილის მეორე პიესა „გმირთა თაობა".

გასული წლის სეზონში ახალმა ხელმძღვანელობამ სცენას დაუბრუნა ნ. შიუკაშვილის პიესა „სულელი". ეს პიესა მოითხოვდა გადაკეთებას. ეს საპატიო ამოცანა ჩინებულად იქნა გადაჭრილი ავტორის, რეჟისორისა და მსახიობთა კოლექტივის შეთანხმებული მუშაობით.

გასულ სეზონში თეატრმა უჩვენა აგრეთვე გ. მდივანის „სამშობლო".

გარდა ორიგინალური პიესებისა, 1937 და 1938 წლ. სეზონში თეატრის ხელმძღვანელობამ დასდგა შექსპირის „ოტელო". „ოტელო" რუსთაველის თეატრის სცენაზე ერთერთი თვალსაჩინო კულტურული დადგმაა, რომელიც აგრეთვე დიდი წარმატებით სარგებლობს (რეჟ.—შ. ახსაბაძე, მხატვარი—ირ. გამრეკელი, მუსიკა ი. ტუსკიასი). მიუხედავად ამისა, ამ სპექტაკლის დამუშავებაში თეატრის ხელმძღვანელობა ნაკისრ ვალდებულებას მთლიანად შესრულებულად არ სთვლის და ფიქრობს მომავალ სეზონში ახალი ვარიანტით წარუდგინოს იგი საბჭოთა მაყურებელს.

რუსთაველის თეატრის გასულ სეზონს მაღალი შეფასება მისცა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ თავის საანგარიშო მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე. ეს გვავალებს მუშაობის კიდევ უფრო მეტის წარმატებით გაშლას, რადგან საამისო პირობები თეატრს უხვად მოეპოვება.

მომავალი სეზონისათვის თეატრის ხელმძღვანელობა ისევ ბრიგადული სისტემით განაგრძობს მუშაობას. განზრახულია რეპერტუარის გაძლიერება ახალი ორიგინალური პიესებით. ამ მხრივ ხელმძღვანელობამ უკვე მოიმარაგა რამდენიმე ახალი პიესა, რომელთა შორის აღსანიშნავია ს. შანშიაშვილის „ფოლადაური". ეს პიესა ასახავს საკოლმეურნეო ცხოვრების ვითარებას და მისი აღმავლობის გზას.

შემდეგი პიესა, რომლითაც თეატრი წარუდგება საზოგადოებას, ეს არის ს. მთვარაძის პიესა — „მთაგრეხილზე".

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადთა სახეების ჩვენების საქმეში გამოცდილების გაღრმავების მიზნით, თეატრი მომავალ სეზონში დასდგამს პოგოდინის პიესას „კაცი თოფით". პიესის დადგმა დავალებული აქვს სსრკ სახალხო არტისტს, ორდენოსან აკაკი ხორავას.

სოციალისტური სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრების დაცვის თემაზე პიესის დაწერა თეატრის ხელმძღვანელობამ დაავალა დრამატურგებს შ. დადიანსა და ს. შანშიაშვილს.

თეატრის ხელმძღვანელობა იმუშავებს აგრეთვე ალ. ტოლსტოის პიესის—„14 სახელმწიფოს ლაშქრობის" დადგმაზე. აქ ასახულია სამოქალაქო ომი 1919 წელს და ამხანაგ სტალინის გენიალური გეგმით თეთრგვარდიელთა ურდოების განადგურება.

მსოფლიო კლასიკოსებიდან წელს დასადგმელად ავირჩიეთ მოლიერის უკვდავი კომედია „ტარტიუფი".

წელს რუსთაველის თეატრი პირველად უღებს კარს რუსეთის ცნობილ მწერალს ა. ნ. ოსტროვსკის. მომავალ სეზონში დადგმული იქნება მისი „უდანაშაულო დამნაშავენი" (ე. ანდრონიკაშვილის თარგმანი). ამ პიესაში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის სახალხო მსახიობი ნუცა ჩხეიძე.

საორიენტაციო პიესებიდან საყურადღებოა ს. კლდიაშვილის ახალი კომედია „არიელი", სადაც გამანადგურებელი ჰუმორით გაშიშვლებული იქნება ფაშისტური უნიათო რასიული თეორია.

წლევანდელი სეზონი გასულ ორ სეზონთან ერთად სცენაზე ახალგაზრდა მსახიობთა კადრების დაწინაურებისა და დამკვიდრების სეზონად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი თეატრის წამყვან, ორდენოსან, დამსახურებულ და ცნობილ მსახიობებს მხარში ამოუდგებიან ახალგაზრდა ძალები — რუსუდან ბერიძე, მერი ჯაჯანაშვილი, თამარ ბაქრაძე, თამარ თუშიშვილი, ნინო ლაფაჩი, ელენე დონელი, ფელიკ ჭანტურია, ოლღა დოლიძე, ლიზა ვაჩნაძე, და სხვ., ხოლო ვაჟებიდან—მ. ჩიხლაძე, დ. ხუციშვილი, ალ. აფხაიძე, გ. ბეჟუაშვილი, შ. აბესაძე, ი. ჯავახიშვილი, ზ. მაჩაბელი, შ. გიგაური და სხვ.

რეჟისურამაც თვალსაჩინო ძალები შეიძინა დ. ალექსიძისა და წერეთლის სახით, ხოლო ახალგაზრდა კომპოზიტორებში დიდი წარმატებით სარგებლობს გაბიჩვაძე.

მომავალ სეზონში თეატრი მისცემს 6 პრემიერას, 225 სპექტაკლს, და 30 დილის წარმოდგენას.

საზოგადოების მომსახურების საქმეში რუსთაველის თეატრს წარსულში ერთგვარი ნაკლი ჰქონდა— მას ჯეროვნად ვერ დაეყენებინა მუდმივი ბილეთების გავრცელების საქმე, ვერ ჩამოეშორებინა თეატრისათვის ყრუ ადგილები, რაც მაყურებელს მეტად უხერხულ პირობებს უქმნიდა სპექტაკლის გარკვევაში. წელს ეს ნაკლი აღმოფხვრილი იქნება. მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გამოშვებულია აბონემენტების ორი სერია, რაც მას საშუალებას აძლევს ორგანიზებულად დაესწროს დილის წარმოდგენებს.

რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ გაამართლებს პარტიისა და ხელისუფლების ნდობას და მიმდინარე სეზონში თავის მხატვრულ საწარმოო გეგმას გაცილებით მეტი წარმატებით შეასრულებს, ვიდრე გასული წლის სეზონში იყო.

გაიხსნა სეზონი რუსთაველის თეატრში

გუშინ გაიხსნა რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი თეატრის 1938/39 წლის სეზონი.

თეატრმა უჩვენა მაყურებელს დრამატურგ შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან" განახლებული დადგმით.

მთავარ როლებს ასრულებდნენ— აკ. ვასაძე (ვ. ი. ლენინი), მ. გელოვანი (ახალგაზრდა სტალინი), აკ. ხორავა (ელიშუქი), გ. დავითაშვილი, ა. ჭანტურია, ემ. აფხაიძე, გ. საღარაძე, ს. ჯაფარიძე და სხვ.

მოტოგადარბენა თბილისი—ერევანი—თბილისი დამთავრდა

14 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, თბილისს მწყობრად დაბრუნდა 8 სექტემბერს თბილისის ავტომოტოკლუბის მიერ მოწყობილ საქ. ალკკ 20 წლისთავის სახელობის სააგიტაციო მოტოგადარბენის კოლონა.

გადარბენის მონაწილეებმა გზადაგზა ჩაატარეს აგიტსაუბრები ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობაში სამოტოციკლეტო სპორტის პოპულარიზაციის საკითხებზე.

გადარბენის მონაწილეებმა გაიარეს სულ 720 კილომეტრი გზა.

საბჭოთა მანქანებმა ამ გადარბენით ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავისი საუკეთესო გამძლეობა და მაღალი ხარისხი.

ხალხური სიმღერისა და ცეკვის ოლიმპიადა

17 და 18 სექტემბერს თბილისის წითელი არმიის ბაღში (პლეხანოვის პროსპექტი № 65) ჩატარდება ხალხური სიმღერისა და ცეკვის ორჯონიკიძის რაიონული ოლიმპიადა.

ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ რაიონის საუკეთესო გუნდები, ინდივიდუალური შემსრულებლები და თვითმოქმედი წრეები.

ოლიმპიადაზე გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ ხალხური სიმღერისა და ცეკვის სრულიად-საქართველოს ოლიმპიადაზე.

მენდელეევის საზოგადოებაში

17 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34/36) შესდგება მენდელეევის საზოგადოების საქ. განყოფილების ღია სხდომა, რომელზედაც მოხსენებებით გამოვლენ: პროფ. დ. ქ. ზავრიევი თემაზე — ნეიტრონი და ნეიტრინო, როგორც ქიმიური ელემენტები, და პროფ. ო. ე. ზვიაგინცევი (მოსკოვი) თემაზე—ოქროს გეოქიმია. შესვლა თავისუფალია.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

16 სექტემბერს

აგიტაციის კაბინეტი — ლექცია თემაზე: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. ს. გეგია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

იმავე კაბინეტში — ლექცია თემაზე: განმათავისუფლებელი ომი ჩინეთში. ლექცია შესდგება რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1542551, გაცემული ამავე რაიკომის მიერ დურსუნ ახმედის-ძე ბერიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ექ. გ. თვალაძე

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

ლენინგრადიდან-მურმანსკამდე

ყინულმჭრელ „ი. სტალინის" რეისის მონაწილის დღიურიდან

23 აგვისტო

დღეს, საღამოს სრულ 8 საათზე, ყინულთა კაპიტანის ვ. ი. ვორონინის ძლიერმა მარჯვენამ მოსწია საყვირის სახელური და სამი საყვირის ხმაურში არქტიკის ფლოტის ფლაგმანი ყინულმჭრელი „ი. სტალინი" დინჯად მოსცილდა ლენინის ქალაქის ნავსადგურის კედელს. ხალხისაგან შექმნილი იყო ორი მჭიდრო კედელი — ერთი ნაპირზე, მეორე—გემბანზე. მათ შორის მანძილი თანდათან მატულობდა. გემის მთელი შემადგენლობა მოაჯირის გასწვრივ იყო ჩამწკრივებული. შესცქეროდნენ ზოგი დედას, მამას, ცოლს, დას, ძმას, შვილს, და ზოგი კი, რომელთა ნათესავებიც იქ არ იყვნენ, ემშვიდობებოდნენ ახლო მეგობრებს, ანდა სტკბებოდნენ სხვისი ბედნიერებით. მეც უკანასკნელთ ვეკუთვნოდი; ვნაღვლობდი, რომ ჩემი ახლობელი არავინ მაცილებდა.

მაგრამ ის გრძნობა, რომ ყველას, ვინც გემზე ვიმყოფებოდით, გვაცილებდა ბედნიერი ხალხის უძლეველი სამშობლო, სამშობლო, რომელსაც მესაჭეობს ჩვენი მამა და მეგობარი, დიდი **სტალინი**, ჩრდილავდა სევდის აღმძვრელ გრძნობებს;

ყინულმჭრელი ბოლოთი მიდიოდა წინ, რადგან საშუალება არ ჰქონდა თავისუფლად მოტრიალებულიყო ვიწრო კალაპოტში. ასე გასტანა 25 წუთმა. გამცილებლები თეთრი ცხვირსახოცის ქნევით მოგვდევდნენ ნაპირ-ნაპირ, კინო-ოპერატორები და ფოტო-რეპორტიორები სცვლიდნენ კადრს კადრზე. გუგუნებდნენ სასულე ორკესტრები და ირხეოდა ლენინის ქალაქის ჰაერი მეზობელ გემთა საყვირის ხმით. მოტრიალდა ყინულმჭრელი, უკანასკნელად გამოემშვიდობა გამცილებლებს სამი საყვირით და სრული სვლით შეერია ბალტიის ზღვის ზვირთებში

მშვიდობით, საყვარელო მიწავ!

კარგა ხანს იდგნენ ნაპირზე გამცილებლები. იმდენად დავცილდით ნაპირს, რომ უკვე ძნელი შეიქნა სახეების გარჩევა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ნაპირი ზღვის ტალღებს მოეფარა.

კაპიტანი ვ. ი. ვორონინი, რომელიც პირადად მართავდა გემს, შესცვალა მისმა უფროსმა თანაშემწემ მაკაროვმა. ვორონინმა ჩამოირბინა კიბე, წამავლო ხელი და მითხრა:

— ახლა კი ნამდვილად საკუთარ სახლში ვართ! მეზღვაურები ხმელეთზე სტუმრად გრძნობენ ხოლმე თავს, ხოლო ზღვაში —მასპინძლად. მოდი, ერთი თქვენებური „საირმე" დავლიოთ!

კარგა ხანს ვიმუსაიფეთ და შემდეგ კი ორი დღის უძინარებმა, მორიგეობიდან თავისუფლებმა, ტკბილ მოსვენებას მივეცით თავი...

24 აგვისტო

შემადგენლობა ჯერ კიდევ გუშინდელი შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება. ყველას ნათლად ახსოვს პარტიისა და ხელისუფლებისათვის გუშინდელ მიტინგზე მიცემული დაპირება დავალების პირნათლად შესრულების შესახებ. საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო პოლარელის ნიშანი უნდა გახდეს ხვედრი საფლაგმანო ყინულმჭრელ „ი. სტალინისა" და მისი ეკიპაჟის ყველა წევრისა.

—უნდა ვიბრძოლოთ, — ამბობს პოლიტხელმძღვანელი ნ. კ. ლაპინსკი. — აბა, ამხანაგებო, თქვენ იცით, როგორ გაამართლებთ დაკისრებულ დავალებას!



ყინულმჭრელ „ი. სტალინის" გემბანი. ო. ი. შმიდტი პეტრე I-ის დროინდელ ისტორიულ ღუზასთან.

ფოტო. გ. თვალაძის

* * *

ყველა თავის საგუშაგოზეა.

ბოცმანი პოტიომკინი გემის ზემო ბანზე დაფუსფუსებს და ყოველ ნივთს მტკიცედ „აბამს", ამაგრებს მსხვილი ბაგირით. ვინ იცის, იქნებ ზღვამ მოიპრიანოს გემბანზე ტალღების შეთამაშება. მაშინ ხომ დაიღუპა ამდენი ნაამაგარი! იგი კარგად იცნობს ოინბაზ ზღვას. არაერთხელ ყოფილა ბოცმანი ამ ზღვის ცბიერ ქსელში მოყოლილი და ამიტომ გულშემატკივარი პატრონის თვალით ათვალიერებს ყოველ წვრილმანს. მას ეხმარებიან მამაცი მეზღვაურები, რომელთაგანაც შექმნილია ზემო ბანის კომანდა. ასეთსავე ფუსფუსში არიან ცეცხლფარეშნი, მემანქანენი, დამლაგებელნი. ისინი ანთავისუფლებენ ყინულმჭრელს ჭუჭყისაგან. კაიუტები ბზინავენ თვალმომჭრელი სისუფთავით. ყველა ცდილობს გასვლის პირველ დღიდანვე, რომ ყინულმჭრელი ღირსეულად ატარებდეს თავის სახელს.

მზე უხვად გვაწვდის ცხოველმყოფელ სხივებს. დღე მიიწურა. მორიგეები იცვლებიან..., კარგა ხანია, რაც გავცილდით ლენინის ქალაქის ციხე-სიმაგრეს — კრონშტადტს. ჩვენი გემი ბალტიის ზღვის ფინეთის ყურის წყლის ფართობზე მისრიალებს. ხანგამოშვებით ვხედავთ ფინეთის სანაპიროებს. სანაპიროებიდან გამოკრთის შორი ნათელი შუქურებისა. ბალტიის ზღვის შემდეგ ჩვენი გემი დინჯად შესრიალდა დანიის სრუტეში. გვერდი ავუარეთ დიდ ბელტას, კატეგატსა და სკაგერაკს და გავემართეთ ნორვეგიის ნაპირებისაკენ.

28 აგვისტო

გამოჩნდა ნორვეგიის ნაპირები. უკვე ატლანტის ოკეანეში ვართ. ზღვა ხელს გვიწყობდა, ნაზად არხევდა ჩვენს გემს, აქ კი ოკეანეს ტალღები მოურიდებლად ეხეთქებიან მას. საერთოდ ყინულმჭრელი ჩვეულებრივ გემთან შედარებით უფრო ნაკლებად მდგრადია, ადვილად ემორჩილება ტალღათა ღელვას, რადგანაც მისი საერთო ფორმა ელიფსურია. ასეთი ფორმა აუცილებელია ყინულმჭრელისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ყინულებში ყოფნის დროს იგი გაიჭყლიტება. სამაგიეროდ სუფთა წყალში სვლის დროს საკმარისია ოდნავი ტალღა მის შესარხევად. აი, სწორედ ამის გამო, ატლანტის ოკეანეში ყინულმჭრელმა დაიწყო რწევა და ზოგიერთი ჩვენი თანამგზავრი არც ისე კარგად გრძნობს თავს.

2 სექტემბერი

დღეს განვლეთ ევროპის ჩრდილო კონცხი, რომელიც ნორდკაპის სახელს ატარებს. ნორდკაპის კონცხიდან ჩვენი გემი ბარენცის ზღვის მშობლიურ წყალში გავიდა.

დაღამდა. გემი კოლის უბეში შედის...

3 სექტემბერი

დღეს, დილის 5 საათზე, მივადექით მურმანსკის ნავსადგურს. ღუზა ჩაუშვეს. როგორ გავახარებთ მურმანსკელ პიონერებს. ჩვენ მათ ატლანტის ოკეანედან ჩამოვუყვანეთ უცხო ფრთოსანი სტუმარი — ყანჩა, რომელიც ატლანტიკაზე შემოჯდა ჩვენი გემბანის ანძაზე.

მურმანსკი ჩვენი ქალაქია... რეისის პირველი ეტაპი დამთავრებულია. გავლილია 2360 მილი...

4 სექტემბერი

შესანიშნავი შეხვედრა მოგვიწყეს მურმანსკში.

თავი მოეყარათ ადგილობრივი ხელისუფლების, ფაბრიკა-ქარხნების, საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებს და ადგილობრივ მცხოვრებლებს. უკრავდა სასულე ორკესტრი, ნავსადგურში მყოფი გემები გალამაზებული და მორთული იყვნენ.

მურმანსკელ მშრომელებს ძვირფასი საჩუქარი მოვუყვანეთ: ყინულმჭრელი „ი. სტალინი" მიწერილია მურმანსკის ნავსადგურზე, ისე რომ უშუალო პატრონი ამ გემისა ისინი არიან. ეკიპაჟის მთელი შემადგენლობა გემბანზე იყო გამოფენილი. „ურას" ძახილით შემოგვესიენ მასპინძლები. გაიხსნა მიტინგი. სიტყვებით გამოვიდნენ ქ. მურმანსკის ორგანიზაციების წარმომადგენელნი. მათ სიტყვებში გამოსჭვიოდა უსაზღვრო ერთგულება, სიყვარული და თავდადებისათვის მზადყოფნა ბოლშევიკური პარტიის, ხალხთა ბელადის დიდი **სტალინისადმი**. გვილოცავდნენ სახელოვან მგზავრობას და ამაყობდნენ ჩვენი საჩუქრით. შემადგენლობიდან საპასუხო სიტყვით გამოვიდნენ ორდენოსანი კაპიტანი ვორონინი და ცეცხლფარეში კოროლკოვი. დღის 11 საათზე მოთავდა მიტინგი და სწრაფად დაიწყეს გემის დატვირთვა ნახშირით, წყლით და სურსათ-სანოვაგით. დატვირთვა გრძელდებოდა განუწყვეტლივ 2 დღეღამის განმავლობაში. მივიღეთ 2 წლის სარჩო მოსალოდნელი ზამთრობისათვის.

დღეს მივიღეთ სახკომსაბჭოს ბრძანება ჩვენი შემდგომი მუშაობის შესახებ. გვეკისრება გამოვიყვანოთ ყინულში დარჩენილი ყინულმჭრელი „სედოვი" და მივეხმაროთ ყინულმჭრელ „ერმაკს".

ხვალ, 5 სექტემბერს, ნაშუადღევს არქტიკის ფლოტის ფლაგმანი ყინულმჭრელი „ი. სტალინი" დასტოვებს მურმანსკს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

სახოპერა

გამოშვებულია ინდივიდუალური აბონემენტები
10 სერია თითოში 15 ოპერა და ბალეტი, 8 თვეში გადახდით.
დაკვეთები მიიღება თეატრის სალაროში 12-დან 5 საათამდე. იქვე დაკვეთების ბლანკები.

20 სექტემბერს თავდება მუდმივ ადგილებზე ხელშეკრულების დადება
21 სექტემბერს დაიწყება მუდმივი ადგილების ბილეთების გაცემა. ბილეთებს მიიღებს, ვისაც შემოტანილი აქვს მე-2 გადასახდელი. 3—3

საქფილჰარმონიის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123, ტელ. 3-18-50
16, 17, 18 სექტემბერს მე-2 სერიის ტალონები №№ 8, 9, 10
მოსკოვის ესტრადის ოსტატთა საღამოები
კონფერანსიე მიხ. გარკავი
ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 9 ს. და 30 წ.

„გლავრეზინის" საქართველოს კანტორა
აცხადებს საქართველოს, აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე მყოფი ყველა წარმოება დაწესებულებების, ქარხნების და ფაბრიკების საყურადღებოდ, რომლებიც შედიან საქართველოს სახალხო კომისარიატებში, რომ 1939 წლისათვის წარმოადგინონ ზუსტი და დასაბუთებული მოთხოვნები რეზინის ნაწარმზე, სარეწ. ტექნიკაზე, სანიტარიაზე და ფართო მოხმარების საქონელზე შემდეგი ფორმით:

საქონლის დასახელება და ზომა	საცალო საზომი	რაოდენობა	შენიშვნა

მოთხოვნების წარმოდგენის ვადა 1938 წ. 1 ოქტომბერი. ამ ვადის გასვლის შემდეგ შემოსული მოთხოვნები განხილული არ იქნება
ყოველგვარი ცნობებისა და პრეისკურანტების მიღება შეიძლება „გლავრეზინის" საქართველოს კანტორაში (თბილისი, კიროვის ქ. № 4).
258 „გლავრეზინა".

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წლის სეზონი

16/IX	წარმოდგენა 2 ნაპერწკლიდან
17/IX	წარმოდგენა 3 სულელი
18/IX	წარმოდგენა 4 სულელი

სალარო ღიაა დღის 12 ს. საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ექიმი
მძინარიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტე, (ელექტრონით მკურნალობა). ქალთა და ბავშვთა გონორეია.
ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალებისა და ბავშვების საღ. 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20, მე-4 შესავალი. მე-2 სართული. ბინა № 38.
19045

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61 სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მზ. ნორიგის—3—26—67; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—246